გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№397 (456) 7-14 თებერვალი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

იზა თამაზაშვილი: ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკამ მარცხი განიცადა

გვ.3

ჰამლეტ ჭიპაშვილი: ტერიტორიული მთლიანობა მოლდოვას მაგალითიდან გამომდინარე

გვ.2

აზარტული თამაშები — უზარმაზარი შემოსავალი ბიზნესს, მიზერული — სახელმწიფო ბიუჯეტს

გვ.5

ნაზი ნავროზაშვილი:

მაინც,როგორი ადამიანები ჭირდება ქვეყანას, ვიცი, ბიძაჩემო, თუ — ვიცი, ბიძინა ჩემო?!

გვ.11

სამოქალაქო გაერთიანების — სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-სადისკუსიო დარბაზ “ღირსების“ დამფუძნებელთა ჯგუფის გაფართოებული სხდომის მიმართვა საზოგადოებას და ხელისუფლებას

გვ.8

ჯანო ანანიძე: მოვიდა და მითხრა, დღეიდან პატარა პირლო იქნებიო

გვ.12

მე მომიკვდა შვილი ძალიან მიჭირს... — ვერიკო ანჯაფარიძის შეხვედრა ილია მეორესთან

გვ.7

სიჩქარის გადაჭარბება, ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვა! — სანქციების გამკაცრება იგეგმება

გვ.6

ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

გვ.4

ევა გოცირიძე სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატთა სიის ჩავარდნის მიზეზებზე საუბრობს

გვ.9

ილორი

ტერიტორიული მთლიანობა მოლდოვას მაგალითიდან გამომდინარე

თუ ყურადღებით მოისმენთ, ნახავთ და წაიკითხავთ ქართული მედიის ნაცოდვილარს, უდავოდ გაგიჩნდებათ შთაბეჭდილება, რომ ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია, არავითარი პრობლემები არ აქვს – პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად ისეა გამართული წელში, წარმატებული ქვეყნებიც რომ შურით აღივსებიან. ერთადერთი, რაც ამ ქვეყანას და მის მოქალაქეებს აწუხებთ, ფარული მოსმენებია ან ვიღაც **„ბოევიკის“** უკრაინის მიერ რუსეთისთვის არგადაცემის საკითხი. სიტყვა **„ბოევიკს“** იმიტომ ვხმარობ, რომ ქართველები, რომლებიც მემარჯვენე სექტორის მხარდამხარ იბრძვიან უკრაინაში, დონბასის წინააღმდეგ და თვალს ხუჭავენ სვასტიკებით **„დამშვენებულ“** უკრაინელ ბანდერელებზე, სწორედაც რომ **„ბოევიკებია“**.

ერთიც და მეორეც მნიშვნელოვანი თემებია და ღირს მათზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ როდესაც ქვეყანას ყოფნა-არყოფნის სამარადისო საკითხი აქვს გადასაჭრელი; როდესაც კატასტროფულმა ეკონომიკამ, ხალხის სოციალური მდგომარეობა – ისედაც ერთობ დამძიმებული, კიდევ უფრო დაამძიმა; როდესაც სახეზეა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის თემის საბოლოო გადაწყვეტა არა საქართველოს სასარგებლოდ; როდესაც აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის განსხვავებული პოლიტიკიდან გამომდინარე საქართველომ შეიძლება დაკარგოს მყარი საყრდენი ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის სახით და მძაფრი საერთაშორისო პრობლემების წინაშე მარტო აღმოჩნდეს, თავში მოყვანილი 2 მაგალითი (მოსმენები და ექსტრადიცია) უღიმღამოდ გამოიყურება და ემსახურება მხოლოდ ერთს – ქვეყანამ დაივიწყოს ყოველივე ჩამოთვლილი და ყურადღება მეორეხარისხოვან საკითხებზე გადაიტანოს.

ჩემის აზრით, უპირველესი აქცენტი ხელისუფლებამ და საზოგადოებამ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე უნდა გააკეთოს და არა რადაც სხვაზე, ყურით მოთრეულ პრობლემებზე. გარდა ამისა, განსაკუთრებული განსჯის საგნად უნდა აქციოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საკითხები, დასაქმება, ახალი საწარმოების შექმნა, სოციალური პრობლემების მოგვარება და არა **„მოსმენების“** თემის სისტემატური საეთერო ტრიალი. მან უნდა მოუწოდოს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს გაამახვილონ ყურადღება ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე და არა გამოგონილ სისულელეებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციების მეტიჩარა წევრები და მათზე მეტიჩარა ჟურნალისტები ქოქოლას დამაყრიან – ეს, როგორ გაბედაო, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ რომის პაპზე უწმინდესი ისინი ვერასდროს გახდებიან, ვერც ფარულ მოსმენებს აღკვეთენ და ვერც მიყურადებას, რამეთუ მსოფლიომ მიაღწია ისეთ საწადელ დონეს, რომელსაც ერთის მიერ მეორის ფარული მოსმენა ჰქვია. საინტერესოა, რომელიმე მათგანს, ვინც ამ თემას ახმოვანებს, ერთხელ მაინც თვალი შეუვლია ევროპა-ამერიკის იმ მუზეუმებში გამოფენილი ექსპონატებისთვის, მრავალი ათეული წლის განმავლობაში რომ იყენებდნენ სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები, ფარული მოსმენებისთვის? ჰოდა, რახან თვალით არ უნახავთ, ვერც არსებულ ვითარებას შეაფასებენ ჯეროვნად. მსოფლიომ შექმნა ყოველივე ეს ერთმანეთის მოსასმენად და რახან შექმნა, გამოიყენებს კიდევაც.

და კიდევ ერთი რამ, როგორც ჩანს იმ არასამთავრობოთა და მედიის წარმომადგენლებს, რომლებმაც **„პატრიოტული“** წიკვინით ტვინი წაიღეს, არაფერი სმენიათ სნოუდენის, ასანჟის, მენინგის თაობაზე, არც გაუგიათ აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის გორის განცხადებების შესახებ, რომლებიც თავის წიგნში აქვს აღბეჭდილი, მკაცრად აკრიტიკებს რა აშშ-ს ადმინისტრაციებს ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით. არც რუსი ჰაკერების შესახებ სმენიათ, ან აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ ევროპელი მოკავშირეების მერკელის, ოლანდის, სხვების და სხვების სატელეფონო ლაპარაკის სისტემატური მოსმენების შესახებ.

აღნიშნულის თაობაზე ოდნავი წარმოდგენის მქონე მავანი **„მოსმენების“** საკითხს არასერიოზულად ჩათვლიდა. შენი სტრატეგიული პარტნიორი, რომ ამ ხერხს სისტემატურად იყენებს, ხოლო შენ კი, შენს ქვეყანაში **„ელეთმელეთი“** გემართება ანალოგიურზე – ვითომ ბრძოლას ნიშნავს და არა ნამდვილს.

დიახ! აი, ასეთი, ვითომ თემებით ცდილობს ხელისუფლება და მასზე მიტმასნილი არასამთავრობები რეალური პრობლემების გადაფარვას. რეალური კი ტერიტორიული მთლიანობაა და სხვა თავში ჩამოთვლილი.

სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრმა იბრაგიმ გასეევმა განაცხადა, რომ ამ ტერიტორიაზე არსებული ოსური არმია შევა რუსეთის არმიის შემადგენლობაში. შესაბამის ხელშეკრულებას ხელი მიმდინარე წელს მოეწერება, რის შემდეგაც რუსეთი აღიარებს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებში სამსახურს, რუსეთის არმიაში სამსახურის დონეზე. გადაწყვეტილება, სამხრეთ ოსეთის არმიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ნიშნავს ერთს – რუსეთს მობეზრდა შუამავლის როლის თამაში და ჩაგრული ოსი ხალხის დამცველის პერმანენტული შესრულება.

როგორც რუსი ექსპერტები აცხადებენ, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება იყო ეტაპი, რომელსაც უნდა მოყოლოდა საქართველოს ტერიტორიების ანექსია. თუ რატომ არ აქვს ადგილი ამას დღემდე – მარტივი პასუხის გაცემა შეიძლება – ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ელიტების წინააღმდეგობა. მაგრამ, როგორც ჩანს, აღნიშნული მალე მიეცემა დავიწყებას, რაც უდავოდ აისახება ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაგეგმილ რეფერენდუმის შედეგებში – რეფერენდუმი ეძღვნება სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთებას, რის შედეგადაც, გამორიცხული არ არის მოსკოვის მიერ ოსი ხალხის გაერთიანების შესახებ განცხადების გაკეთება. ეს კი საქართველოს ტერიტორიის რეალური დაკარგვა იქნება.

ყოველივე აღნიშნული ვარაუდია, მაგრამ მასში არის სინამდვილის მარცვალი. რას აკეთებს ქართული მხარე ტერიტორიების საბოლოო დაკარგვის აღსაკვეთად. უყოყმანოდ შეიძლება ითქვას – არც არაფერს. ის, ისე იქცევა, თითქოს დაკარგული ტერიტორიები მისი კი არა, სხვისი, ანუ სხვა სახელმწიფოსია.

სამწუხაროდ, ასრულდა ჩემი წინასწარმეტყველება – რამდენიმე წლის წინათ გაჟღერებული, რომ საქართველოს ხელისუფლება უსაგნოდ იჟივჟივებდა, შემდეგ ამ ჟივჟივის მაჟორულ ტონალობას, მინორულით შეცვლიდა და საბოლოოდ სულაც მიივიწყებდა. განა ბოლო საპარლამენტო არჩევნები აღნიშნულის დასტური არ არის?! ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ხომ იმ გასაკეთებელი გეგმების ხუთეულშიც ვერ მოხვდა?

ქართულ მხარეს ხელს არ უნდა აძლევდეს უსაგნო ლაქლაქი და რაც მთავარია რუსეთის დადანაშაულება, გამუდმებით იმის ძახილი, რომ რუსეთი ოკუპანტია, ხოლო აფხაზები და ოსები – სეპარატისტები; რომ ჩვენი დასავლელი მეგობრები მუდამ აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას; რომ ისინი აიძულებენ რუსეთს უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა და ა.შ.

ყოველგვარი ჭმუნვის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთი უძლურია რუსეთთან მიმართებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამ პრობლემას ძალისმიერი გადაწყვეტა ესაჭიროება, რაზეც არც აშშ-ი და არც ევროკავშირი წამსვლელი არ არის. ისინი, საქართველოს გულისთვის, რუსეთს ომს არ დაუწყებენ. ეკონომიკური სანქციებით კი რუსეთი არ წაიქცევა. მაშ რა დაგვრჩენია ისეთი, ამ ჩიხიდან რომ გამოგვიყვანოს?

საქართველოს ხელისუფლების პრაგმატული, გონივრული მოქმედება. შეძლებს ამას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება? ვერ შეძლებს! მას არც პრაგმატული აზროვნება, საერთოდ აზროვნება, მითუმეტეს გონიერება არ გააჩნია. განვლილი 4 წლის განმავლობაში არ გამოუვლენია ასეთი რამ და რაღა ახლა გამოავლენს?

ივანიშვილი? – იკითხავს მავანი. ივანიშვილი ისეთია, როგორიც ხელისუფლება. მას სამშობლო და პატრიოტიზმი – ხეების გადარგვაში და რაღაც აბსტრაქტულ პროექტებში აქვს გაბნეული. ქვეყნის სიყვარული – ივანიშვილს კუჭის და არა გულის გავლით აქვს ანუ პირველ რიგში საკუთარი თავი, ოჯახი, დაგროვებული კაპიტალი და მერე ქვეყანა.

არ ყოფილიყო ივანიშვილი და არ იქნებოდა სააკაშვილის რეჟიმი და თუ იქნებოდა, მცირე ხნით, ვინაიდან ძალოვანი სტრუქტურების გარეშე სააკაშვილი, სააკაშვილი არ იქნებოდა. სწორედ ივანიშვილი აფინანსებდა ძალოვნებს წლების განმავლობაში (როგორც თვითონ თქვა), ჩვენ რომ სოროსი გვეგონა. ამ ფულმა გამოიწვია სააკაშვილის წელგამართულობა და რიხი, რამაც ცხინვალზე გააწევინა. გაიწია და დამარცხდა – არა თვითონ, არამედ ქვეყანა.

პრაგმატულად მოაზროვნე **„მეოცნებე“** ხელისუფლებას უმალ უნდა შეექმნა ამ ავანტიურის შემსწავლელი კომისია და სააკაშვილი, თავის გუნდიანად ქვეყნის მოღალატეებად გამოეცხადებინა. სააკაშვილი დაეპატიმრებინა, ისე, როგორც თანაგუნდელები, ხოლო **„ნაცმოძრაობა“** კანონგარეშედ გამოეცხადებინა; ბოდიში მოეხადა ოსი და აფხაზი ხალხის წინაშე და რუსთა დახმარებით დაეწყო მათთან მოლაპარაკება.

ნაცვლად ამისა, ქვეყნის მოსახლეობა სააკაშვილისა და მისი ბანდის პროპაგანდისტულ ანკესზე წამოეგო, მხარში ამოუდგა მას და ხელისუფლებას, რითაც მიაფურთხა ქვეყანას, მის მომავალს – გადაქანებული პიროვნების და მისი ბანდიტების სასარგებლოდ. დაიკარგა უნიკალური ტერიტორიები, მასთან ერთად ერის პატრიოტული შემართება. ერთ დროს მამაცი, სულით ძლიერი ერი ვიწრო ჩარჩად იქცა. სააკაშვილის და მისი **„გუნდის“** 9-წლიანმა ბოგინმა უდიდესი ზეგავლენა იქონია ქვეყანაზე – ისეთი, ათეული წლები რომ დასჭირდება განწმენდას, ეს იმ შემთხვევაში, თუ გამწმენდი გამოჩნდება.

სამწუხაროდ, დღეს ასეთი არ ჩანს. 5-6 წლის წინათ ხალხი ასეთად ივანიშვილს თვლიდა, მაგრამ მისმა პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენამ, ყოველგვარი იმედი ჩაუკლა. ქვეყანა დაემსგავსა შუა ოკეანეში მოფარფატე, უკომპასო ნავს, რომელმაც არ იცის საით წავიდეს.

და მაინც, მიუხედავად ხელისუფალთა ვიწრო აზროვნებისა, ვურჩევდი გამოფხიზლებას და ისეთი გზის არჩევას, რომელსაც გასაჭირიდან გამოყვანა შეეძლება. კაცმა რომ თქვას – დიდი არჩევანიც არ აქვს ხელისუფლებას, ვინაიდან დასავლეთსდახარბებულს, **„თავაზიანად“**, ევროპაში შესასვლელ კართან რომ გაყურყუტებენ, ხომ უნდა მიხვდე, რომ იქ შესასვლელად მზად არ ხარ?!

ვერ ხვდებიან. არადა, რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ეკონომიკის არმქონე ქვეყანას იქ არ მიიღებენ? არ უნდა მიხვდე, რომ შენი მენტალიტეტი იმათთან შედარებით არქაულია? არ უნდა მიხვდე, რომ ქვეყანა, რომელიც ტუალეტის ქაღალდსაც ვერ ამზადებს, ევროპაში არაფერი ესაქმება? არ უნდა მიხვდე, რომ აგრესიული, პროვოკაციული ქცევით, იქ არავინ შეგვიშვებს?

ქვეყანა მარტო პარლამენტი, ხელისუფლება და არასამთავრობო ორგანიზაციები არაა. ის, უფრო ფართო მცნებაა – მოსახლეობის თითქმის 98% – დაჩაგრული, გამწარებული ცხოვრებით, გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობით. რაში სჭირდება ევროკავშირს საქართველოს მსგავსი პრობლემა. ევროკავშირი ხომ საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის – თავზე ხელი გადაგვისვას, გვასვას და გვაჭამოს, ჩვენ კი ნაცვლად პატიოსანი შრომისა, ქურდობას და ბანდიტობას მივყოთ ხელი. თვე ისე არ ჩაივლის, საქართველოს შვილების ქურდობამ ევროპაში თავი არ მოგვჭრას. ცხადია, არიან სასახელო ქართველებიც, მაგრამ მათი სახელები ევროპულ მედიაში არ ჩანს. ჩანს სენსაცია – ისეთი, ქურდობასა და ყაჩაღობას რომ ნიშნავს. სამწუხაროდ ევროკავშირის ბინადართათვის თუ რამით გავხდით ცნობილი – ესაა.

სულ ახლახანს, საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა ფიიონმა გააკრიტიკა ევროპელები უკრაინა-საქართველოს ნატოში გაწევრების დაპირებისთვის, თანაც ისიც განმარტა, რომ მათი ადგილი ევროპულ სტრუქტურებში არ არის. თუ ამას დავუმატებთ აშშ-ს პრეზიდენტის ტრამპის სკეპტიკურ დამოკიდებულებას ევროკავშირ-ნატოსადმი, აშკარაა ჩვენი ევროპული არჩევნის არამდგრადობა.

თუ ევროპული სტრუქტურები არა, მაშ რა დაგვრჩენია, თუ არა მეზობლები და რუსეთი? მით უმეტეს, როდესაც ამ მეზობლის ძალისხმევის გარეშე საქართველოს ტერიტორიული გამთლიანობის საკითხი აბსტრაქტულად მოსჩანს.

ნაცვლად ისეთი ნაბიჯის გადადგმისა, რაც მოლდოვას პრეზიდენტმა დოდონმა გადადგა, ჩვენი ხელისუფლება ბრიყვულად იმეორებს შემდეგს – გაიყვანოს რუსეთმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან თავისი სამხედრო ბაზები; გააუქმოს ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობის აღიარება; დახუროს საელჩოები სოხუმსა და ცხინვალში და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებთ მასთან მოლაპარაკებასო.

ქართული მხარის განცხადება ულტიმატუმია, რასაც არ მიიღებს ბირთვული სახელმწიფო რუსეთი. დაყოვნება კი საქართველოს წისქვილზე არ ასხამს წყალს. დაყოვნებას თან ახლავს ისეთი გადაწყვეტილებების მიღების საფრთხე, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

და ისევ მოლდოვა და მისი პრეზიდენტი დოდონი, რომელიც 4 იანვარს ეწვია ტირასპოლს და მოლაპარაკება გამართა დნესტრისპირეთის პრეზიდენტ კრასნოსელსკისთან, რომელმაც განაცხადა, რომ მოლაპარაკება იყო **„პოზიტიური, ტენდენცია არსებული პრობლემების გადასაჭრელად“**.

ტირასპოლის შემდეგ დოდონი მოსკოვში ჩავიდა, სადაც მოლაპარაკება გამართა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან, რომლის დროსაც პუტინმა თქვა: **„რუსეთი ხელს შეუწყობს მოლდოვა-დნესტრისპირეთის მიერ კომპრომისული გადაწყვეტილების შემუშავებას – მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის ჩარჩოებში და გამოვა მიღებული შეთანხმების შესრულების გარანტად“**.

რუსეთი ყოველთვის უჭერდა მხარს დნესტრისპირეთს. ჰყავდა იქ თავისი სამხედრო ძალა, რომელმაც 25 წლის განმავლობაში მოლდოვას თავიდან ააშორა სისხლიანი დაპირისპირება. დნესტრისპირეთი სარგებლობდა რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ფინანსური დახმარებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მოსკოვი გამოდიოდა დნესტრისპირეთის მოლდოვას შემადგენლობაში ყოფნასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული სტატუსით.

რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის კოზაკის მიერ შემუშავებული გეგმის (2003) მიხედვით, მოლდოვა უნდა გადაქცეულიყო **„ასიმეტრიულ ფედერაციად“** ანუ დნესტრისპირეთს და ავტონომიურ გაგაუზიას უნდა ჰქონოდათ განსაკუთრებული სტატუსი და შესაძლებლობა, გარკვეულ შემთხვევაში არ მიეღოთ კიშინიოვის მიერ შემუშავებული კანონპროექტები. მაშინ, ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნით, მოლდოვას ხელისუფლებამ უარი თქვა კოზაკის პროექტზე და თითქმის გადაწყვეტილი საკითხი ძველ კალაპოტს დაუბრუნა.

2003 წლის შემდეგ ბევრი დრო გავიდა, რაც თავისთავად აისახება კიშინოვ-ტირასპოლის ახალ ხელშეკრულებაზე და თუ შემდგომი მოლაპარაკებები კონსტრუქციულად წარიმართება, პრობლემების მოგვარებაც შესაძლებელი გახდება. მანამდე კი დოდონს სურს პარლამენტის დათხოვნა და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. მას იმედი აქვს, რომ ამ არჩევნებში მისი მომხრეები გაიმარჯვებენ და შეცვლიან აქამდე არსებულ პროდასავლურ ვექტორს რუსეთისა და ევრაზიული კავშირისკენ, გააუქმებენ ევროკავშირთან დადებულ ასოცირების ხელშეკრულებას, რომელმაც დოდონის აზრით კარგი არაფერი მოუტანა მოლდოვას.

მოლდოვას პრეზიდენტის პოლიტიკური ნაბიჯებით დაინტერესებას ვურჩევ ხელისუფლებას. იქნებ მისთვის საინტერესო რამ აღმოაჩინოს მასში.

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲛ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲐ

ამერიკის 45-ე პრეზიდენტის დ. ტრამპის არჩევასთან დაკავშირებით მსოფლიოში ატეხილ აჟიოტაჟს საქართველოც შეუერთდა. ექსპერტთა უმრავლესობა ფსონს კვლავ ამერიკაზე დებს. ე.წ. პოლიტოლოგი გ. რუხაძე **„ობიექტივის"** ეთერიდან ქართველ საზოგადოებას მოძღვრავს: **„მე ვიცავ ცივილიზებული სახელმწიფოს ინტერესებს** (წაიკითხე – ამერიკას), **რომლის ნაწილიც მინდა საქართველო გახდეს"** – აცხადებს იგი და დასძენს: **„ამერიკა ბევრს დაკარგავს, თუ საქართველოს მისამართით პოლიტიკას შეცვლის. საქართველომ უნდა იაქტიუროს, არ უნდა დაუშვას რუსეთ-ამერიკის მორიგება და რუსეთის მიერ პოზიციების გამყარება კავკასიაში. რუსეთი არის სახელმწიფო, სადაც არ ირჩევენ პრეზიდენტს დემოკრატიულად და ხელისუფლება თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს. ამერიკა კი არის ქვეყანა, სადაც პრეზიდენტს დემოკრატიულად ირჩევენ და ის თავის მოქალაქეებზე ზრუნავს"**. ლიბერასტი გ. რუხაძის იდეოლოგიით საქართველოს მოაზროვნე საზოგადოება, რომელიც ოცნებობს როდის განთავისუფლდება ჩვენი სამშობლო უზნეოთა დიქტატისაგან, ინიციატივას უნდა იჩენდეს, რათა კვლავ იმ ქვეყნის მონობის უღელი დავიდგათ, რომლისგან განთავისუფლებას მსოფლიო ესწრაფვის. მინდა მას შევახსენო, რომ რუსეთის პრეზიდენტი მსოფლიოში რეიტინგით კვლავ პირველ ადგილზეა. რუსეთი ძალისხმევას არ იშურებს ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის კუთხით და სამხედრო ტექნოლოგიების გაძლიერებაზეა ორიენტირებული, რადგან დედამიწის 1/6-ზე გადაჭიმული ქვეყნის ბუნებრივი რესურსი უცხო ქვეყნების მილიტარისტულ ძალებს მადას უღვიძებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის მსგავსად უცხო ქვეყნების საშინაო საქმეებში არ ერევა, არ აქვს საგარეო ვალი, ხოლო ამერიკის საგარეო ვალი 20 ტრილიონ დოლარს აჭარბებს. ამერიკელი ჟურნალისტი და მკვლევარი ჯეფრი სილვერმანი ამერიკის პოლიტიკას უარყოფითად აფასებს და აღნიშნავს, რომ იგი ქართველი ხალხის სულიერი და ფიზიკური განადგურებისაკენ არის ორიენტირებული, რადგან მათ მიერ აშენებული ლაბორატორიები სამხედრო პროექტია და არა ჯანდაცვის, საიდანაც გაურკვეველი ვირუსები ვრცელდება და ხალხი იღუპება. არ გამოირცხავს აღნიშნულ ლაბორატორიებში ბიოლოგიური იარაღის დამზადებასაც. დიახ, ლიბერასტები იმ ქვეყნის ინტერესებს იცავენ, რომელიც ქართველთა გენოციდისკენ არის ორიენტირებული. დღეს არჩევნებს იგებს ფული, ხოლო პოლიტიკა ემსახურება არჩეულთა და არა ამომრჩეველთა ინტერესებს. პარლამენტი გაივსო გაურკვეველი იდეოლოგიის მქონე არსებებით, რომელნიც არავითარ პატივისცემას არ იმსახურებენ ხალხის მხრიდან. მეტი რა სიბეცე უნდა გამოიჩინონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როცა საპარლამენტო კანდიდატად ირჩევენ არსებებს ცნობადობის მიხედვით? მოკლედ, ამ პარლამენტს სრული საცირკო არენის შესაქმნელად ნაცჯამბაზი დუტა სხირტლაძე აკლია.

„ქართული ოცნების" არჩევით ხალხმა ხმა მისცა ქვეყნის დასავლურ კურსს, ამიტომაც თავდაჯერებით აცხადებს პარტიის ერთ-ერთი ლიდერი – გია ვოლსკი, რომ ხალხში ანტიდასავლური განწყობა არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ივანიშვილის პოლიტიკამ მარცხი განიცადა: საქართველოს არ ჰყავს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ხალხის კეთილდღეობაზე მოტივირებული ხელისუფლება. საქართველოში მომრავლებული ფარისეველი მორალისტები გაუთავებლად ღნავიან, რომ მალე შენგენის ზონაში დაიწყებენ ჩვენი მოქალაქეები უვიზო მიმოსვლას, მაგრამ არავინ საუბრობს, თუ რა სიკეთის მომტანია ეს ქვეყნისა და ხალხისათვის. პოლიტიკა მორგებულია მხოლოდ ხელისუფალთა ინტერესებზე და მას იდეოლოგია არ წარმართავს: ლ. მოროშკინა თ. მეჭიაურის პარტიის წევრი გახლდათ, რომელიც ქვეყნის დასავლური კურსის მომხრე არ იყო. მოგვიანებით იგი **„პატრიოტთა ალიანსმა"** წარადგინა დეპუტატობის კანდიდატად. ასევე, კახა კუკავაც განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პარტიასთან გაერთიანდა. ყველაზე მძიმე წონის ეროვნული და მილიონზე მეოცნებე გ. სანიკიძე, რომელიც აანონსებდა, რომ არაფრის შეცვლა არ შეიძლება და ჩვენ ევროკავშირში და ნატოში უნდა შევიდეთო – ამჟამად ნ. ბურჯანაძის პარტიის წევრი და ქვეყნის უბლოკო სტატუსის მომხრეა.

ყველა იმ არსებას, რომელმაც პოლიტიკა საკუთარ კეთილდღეობას მოარგო, დიდი ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვების მცირე პერიფრაზით მივმართავ: **„ვინა ხართ, რა ჯიშის ხართ, რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა ამერიკამ და მოსასპობმა ევროკავშირმა, არ ფიქრობთ?"**

საქართველოში მოქმედებს სამოქალაქო ორგანიზაციები: **„ეროვნული დარბაზი"** და **„ლაზარე"**. ინტელიგენციის ერთ პატივსაცემ პიროვნებას ვკითხე: ხომ შეიძლება შევაგროვოთ ხელმოწერები ქვეყნის საგარეო ვექტორის ცვლილებასთან დაკავშირებით? პასუხი ასეთი იყო: – **„ეს ხომ ჩვენზე არ არის დამოკიდებული?"** დღეს რომ ხელმოწერების შეგროვება ხდებოდეს, სწორედ ბიძინისტები იტყვიან უარს საქართველოს მომავალს საკუთარი ხელმოწერა აჩუქონ, რადგან ერთი კომედიური ჟანრის ფილმის პერსონაჟისა არ იყოს, გულში მდერიან: **„მერე მე არაფერი მამივა?"** მოგვიანებით **„ბოროტმა ხმებმა"** ისიც მითხრეს, რომ **„ლაზარე"** ბ. ივანიშვილის ინიციატივით შეიქმნა.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲭᲘᲜᲗᲕᲔᲑᲘ ᲘᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲯᲐᲡ ᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲔᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲛᲘᲜᲓᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ: „ᲐᲘ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲗᲠᲔᲕ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ! ᲗᲐᲕᲡ ᲐᲬᲝᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ �გᲖᲘᲡ �გᲐᲛᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ Ი. ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ Ბ. ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲖᲔᲬᲝᲚᲘᲗ, Ი. ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲘᲮᲘᲑᲚᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲯᲔᲚᲐᲓ ᲚᲐᲜᲒᲠᲘᲗ ᲛᲝᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲜ? Ი. ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ. ᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲥᲕᲔ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲓᲔᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲝ, ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲛᲧᲠᲐᲚᲐ ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲫᲔᲑᲜᲔᲚᲐᲓ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲠᲑᲘᲮᲐᲠᲗ? ᲔᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲮᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲡ?

ქართველი ხალხი არჩევნების შედეგზეა ორიენტირებული და არა ბიძინაზე. ბ-ნმა ბიძინამ პოლიტიკა არ იცის, მაგრამ ეს არ ამცირებს მისი, როგორც ქველმოქმედის ღვაწლს საქართველოს წინაშე. თუ პოლიტიკა არ იცის, ის ხომ მაინც უნდა იცოდეს, რომ ცხოველური ინსტინქტების მქონე გვამების კოლექციონერებს – მერაბიშვილსა და ადეიშვილს რომ კარგ მენეჯერებად მოიხსენიებს, რა დასკვნა გააკეთოს ქართველმა მეოცნებემ? ბიძინისტებს ვეკითხები: ეს იმიტომ თქვა, რომ ასე აზროვნებს თუ ასე უნდა ეთქვა? ქართველ ხალხს არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ დასავლეთი სოციალურ კეთილდღეობას მოუტანს საქართველოს. რატომ იქნებიან მომხრე ჩვენი ქვეყნის სოციალური ფონის გაუმჯობესებისა, როცა ჯერ კიდევ რევოლუციის სათავესთან მდგარ რუსეთს, ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას ლონდონმა და ვაშინგტონმა 1918-20 წლებში 10 სამხედრო ინტერვენცია მოუწყო. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ იმდროინდელი დასავლელი მილიტარისტები სსრკ-ში, რომელიც უზარმაზარი ეკონომიკური და წიაღისეული რესურსს ფლობდა, წინააღმდეგნი იყვნენ ვაჭრობის, მრეწველობის და მიწის ნაციონალიზაცია მომხდარიყო, ე.ი. ხალხის საკუთრებაში არ უნდა გადასულიყო. განა ამავე პრინციპით არ ეწინააღმდეგებიან ხელისუფლების წარმომადგენლები პ. გიორგაძის პროექტს წყლის რესურსის ხალხის ინტერესებისათვის გამოყენების თაობაზე? თავად ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას არ აღელვებს ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობა და ევროპის იმედი უნდა გვქონდეს? ევროკავშირი და დემოკრატია – ორივე სატყუარაა ბრიყვთათვის. გასულ წელს, როცა ხალხი შიმშილის საზღვარზე იყო, 34 მილიონზე მეტი პრემია დაირიგეს ნაცქოცნაბიჭვრებმა; 400 მილიონი **„ონლაინ"** სესხი გასცეს, რამაც სოციალური ფონი კიდევ უფრო დაამძიმა. საქართველოს მოსახლეობას ვაფრთხილებ: თქვენი პირადი მონაცემებით შეუძლია ისარგებლოს კრიმინალური ცნობიერების მქონე ნებისმიერმა პიროვნებამ და **„ონლაინ"** სესხი თქვენს სახელზე გამოიტანოს, თუნდაც პირადობის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში. ვესაუბრე სამართალდამცავ სტრუქტურას, რომელმაც განმარტა რომ ეს დანაშაული დასჯადია, მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტად რჩება? რატომ უნთებს მწვანე შუქს კრიმინალს ხელისუფლება ამ გაუბედურებულ ქვეყანაში, როცა ხალხი შიმშილის ზღვარზეა?! სააკაშვილის ნაკვალევზე მორბენალ ხელისუფლებას უცხოური როკ-ჯგუფი ჩამოჰყავს საქართველოში გაღატაკებული და დამშეული ხალხის **„დასაპურებლად"**, რაც 5,5 მილიონი ლარი უჯდება. ამ ინფორმაციას ნაციონალები ავრცელებენ, დაავიწყდათ მათი ინიციატივით ჩამოყვანილი ტოტო კუტუნიო და ანდრია ბოჩელი, რომელთაც მილიონები გადაუხადეს. დიახ, საბჭოთა ეპოქაში მშივრები და მათხოვრები არ არსებობდნენ და ნოსტალგიას იმ ეპოქის მიმართ არაფერი აქვს საერთო ნაცებისათვის ხმის მიცემასთან, როგორც ამას ნატოსთან ჩახუტებული ე.წ. ექსპერტი ვ. მაისაია აცხადებს.

1947 წელი. ომის შემდეგ პარტიულ და სამთავრობო უწყებათა მუშაკებს სტალინმა ხელფასები გაუზარდა, მაგრამ რაიკომის მდივნის ახალი ხელფასი ბევრად არ აღემატებოდა უმაღლესი კვალიფიკაციის მუშის ხელფასს. პარტიულ მუშაკებს კი იმიტომ გაუზარდა ხელფასები, რომ მათ უფასოდ აღარ ესარგებლათ პარტიული ლიმიტებით – უფასო კვებითა და მომსახურებით. შევადაროთ: – დღევანდელ მინიმუმს ხელისუფალთა ხელფასები 30-ჯერ და მეტად აღემატება.

„რუსეთის სპეცსამსახურები და მისი აგენტები საქართველოს კალიებივით მოედვნენ, ისინი თავიანთ გასაკეთებელს უკვე აკეთებენ როგორც პოლიტიკაში, ასევე, მედიასა და ეკონომიკაში" – აცხადებს ერთ-ერთ ინტერვიუში ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი. ვის გულისხმობენ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტებად თავად ნატოს აგენტები, რომლებიც ნებისმიერი ფორმით ცდილობენ გახრწნილ ამერიკას ერთგულება გამოუცხადონ, იმ ადამიანებს ხომ არა, რომელთაც ნოსტალგია გვაქვს სოციალისტური საქართველოს მიმართ? თუ ასეა, მე და ჩემი თანამოაზრეები რუსეთის აგენტები ვართ! დიახ, ნოსტალგია მაქვს უსაფრთხოების, მართლმადიდებლური მრწამსის, ზნეობის დაცულობის, უფასო განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის მიმართ. ჩვენ, ვისაც ნოსტალგია გვაქვს და ერეკლეს ანდერძი გულში ღრმად ჩაგვიმარხავს, მიშარასტ ლიბერასტებს ხმას არ ვაძლევთ. ე.წ. ექსპერტებს მივმართავ: არც გაბედოთ და გაგვათანაბროთ მათთან, ვინც ერთ უხერხულ ადგილს სთავაზობს ნატოსა და დასავლეთს საკუთარი კეთილდღეობის ფასად!

– **„ევროკავშირისკენ კი მივდივართ, მაგრამ რუსეთს უნდა დაველაპარაკოთ და ტერიტორიები დავიბრუნოთ"** – აცხადებს მემარცხენე ალიანსის გენერალური მდივანი – ს. შატბერაშვილი. ყველა სურვილს თავისი საფასური აქვს, განსაკუთრებით პოლიტიკაში. კომბლესთან ფარიკაობით გართულ განათლების მინისტრს ალ. ჯეჯელავას ქართული ზღაპარი – **„რწყილი და ჭიანჭველა"** ჯერ არ გადაუკეთებია და ზღაპრის გმირებისათვის ანგარება და მექრთამეობა ჯერ არ დაუბრალებია. როცა რწყილი მუხასთან თხოვნით მიდის, მუხა მისგან ითხოვს: შენ რომ ჩემთვის ყვავი არ მოგიშორებიაო? დიახ, ამერიკა ის ყვავია, რომელიც მთელ მსოფლიოს დასჩხავის და ჰეგემონობისკენ ისწრაფვის, მაგრამ რუსეთი ის ქვეყანაა, რომელიც აფხაზეთსა და შავი ზღვის სანაპიროს ამერიკის **„მეგობარ"** ლიბერასტ-პედერასტულ საქართველოს ხონჩით არ მიართმევს, რომ მის საზღვართან ამერიკელებმა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებები განათავსონ.

ქართველი ხალხი ეროვნული გრძნობის დეფიციტს განიცდის. ამიტომაც ვერ შევძელით გაერთიანება და დასავლეთის დიქტატისაგან თავის დაღწევა. ამჟამადაც ამერიკის იმედი გვაქვს, რომ ახალი პრეზიდენტი პოლიტიკას შეცვლის და კავკასიიდან წავა. ჩვენ რომ ერი ვიყოთ, ერთ მუშტად შეკრული ამაყად ვეტყოდით დასავლეთსა და ამერიკას: **„გაეთრიეთ ჩემი სამშობლოდან!"**, როგორც ეს ვიკინგების შთამომავალმა ისლანდიელებმა გააკეთეს. ისევ დიდი ჭაბუას სიტყვებს მოვიყვან: **„ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს"** (რომელსაც ამერიკის ელჩი მწყემსავს! – ი.თ.), მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებამ საძოვრებიც გაგვიყიდა და ჩვენივე სამშობლოში უსამშობლოდ დაგვტოვა.

– **„ჩვენ თქვენს გვერდით ვართ"**, – თანადგომას მიცხადებს ქ. გორის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

– **„არ შეიცვალოთ იდეოლოგია"...** – თხოვნით მომმართავს ერთ-ერთი ჩემი თანამოაზრე.

ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲐᲟᲐᲡ ᲞᲐᲗᲝᲡᲘᲗ ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝ: — „ᲒᲐᲜᲐ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ „ᲛᲐᲛᲙᲔᲠᲫᲝᲜ, ᲠᲝᲛ ᲖᲜᲔᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲣᲖᲝᲛᲝᲓ ᲛᲫᲣᲚᲡ, ᲒᲣᲜᲓᲠᲣᲙᲘ ᲕᲣᲙᲛᲘᲝ?

ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ: – ᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲔᲠᲓᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲣᲫᲒᲔᲠᲡ, ᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲯᲘᲯᲒᲜᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲥᲪᲔᲕᲡ.

ᲘᲖᲐ ᲗᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲛᲝᲑ. 593 90 55 07

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ამ წიგნზე მუშაობისას ჩვენ კატეგორიულად ავერიდეთ ბიოგრაფიული შტრიხების გამომზიურებას, რადგან დაინტერესებული მკითხველი თავადაც კარგად მოახერხებს გმირის ენციკლოპედიური მონაცემების გაცნობას. მაგრამ გვერდი ვერ ავუარეთ ერთ საცნობარო დოკუმენტს. ეს გახლავთ 1923 წლის ოქტომბერში დაწერილი ლავრენტი ბერიას ავტობიოგრაფია. ამ დროისათვის 24 წლის ლავრენტი ბერიას სახელი უკვე ცნობილი იყო არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მოსკოვშიც; მას მკერდს უმშვენებდა საქართველოს წითელი დროშის ორდენი. ბერია თავკაცობდა ოპერატიულ-საიდუმლო ნაწილს და ამავე დროს იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის (ჩკ) თავმჯდომარის მოადგილე. ნათელი იყო, რომ ჭაბუკის კარიერულ გზაზე სემაფორი მწვანედ იყო აკაშკაშებული, მაგრამ, აი, როგორი სიტყვებით ამთავრებს ავტობიოგრაფიას ახალგაზრდა ჩეკისტი, რომელმაც მოასწრო მენშევიკების ქუთაისის ციხეში ჯდომა, ბაქოს იატაკქვეშეთში მიქოიანთან ერთად მუშაობა, სადაც მუსავატელთა დაზვერვაში იყო ჩანერგილი.

"პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობის გამო მე საგრძნობლად ჩამოვრჩი განათლების მიღების საქმეში, რადგან ვერ მივიღე სპეციალური განათლება. მაქვს რა დიდი სურვილი განათლების მიღებისა, ვთხოვ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მომცეს სპეციალური სასწავლებლის თუნდაც ექსტერნად დამთავრების საშუალება. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მე შემეძლება აქტიური მონაწილეობის მიღება აღმშენებლობით პროცესებში, და რაც მთავარია, პარტიას უფრო მეტად წაადგებოდა ჩემი საქმიანობა".

მაგრამ პარტიამ გადაწყვიტა, რომ ბერია ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის უსაფრთხოების დაცვის საქმისათვის უფრო საჭირო იყო და ლავრენტი ბერიას ლტოლვა არქიტექტურული საქმიანობისადმი უპასუხოდ დასტოვა. იმ საგანგაშო წლებში **"დამსჯელი მახვილი"** უფრო საჭირო იყო, ვიდრე პროსპექტებისა და შენობების ესკიზების შექმნა. თუმცა, მოგვიანებით, ჩვენ შევეცდებით მკითხველებს გავაცნოთ ჩვენი გმირის **"არქიტექტურული"** ქმნილებებიც...

1921 წლის თებერვალში ნოე ჟორდანიას მთავრობა სამშობლოდან გაიქცა და პარიზში დაბინავდა, საიდანაც აქტიურად ეხმარებოდა საქართველოში დარჩენილ თანამოაზრეებს მორალურად, იდეოლოგიურად და, შესაძლებლობის ფარგლებში, ფულითაც. აქვე, საქართველოში, ჯერ კიდევ უკანასკნელ არგასაბჭოებულ რესპუბლიკაში თავშესაფარი ჰპოვეს აზერბაიჯანიდან გამოქცეულმა მუსავატელებმა, სომეხმა დაშნაკებმა, აღარაფერს ვამბობ ღრმა იატაკქვეშეთში წასულ ქართველ მენშევიკებზე. ყველა ეს პარტიები საკუთარი პროგრამებით მცირედ თუ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. – ძირითადად ესენი იყვნენ **საქართველოსთვის ტრადიციულ მენტალიტეტად ქცეული ჯიგიტები**, რომლებიც **გარს ეხვევნენ თავადებს**, ოღონდ, თავადების როლში აქ გამოდიოდნენ **"პოლიტიკური ლიდერები"**. მათი შეიარაღებული რაზმები დიდად არ განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი კრიმინალებისაგან და სწორედაც რომ კრიმინალურ ტერორს აწყობდნენ მთის რესპუბლიკაში.

თუმცა, იგივე 1921 წელს ოპოზიცია შეეცადა თავისი რიგების გაწმენდას და მასში წესრიგის დამყარებას, რისთვისაც შექმნა ე.წ. "დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელშიც პარიტეტულ საწყისებზე შევიდნენ ბოლშევიკური რეჟიმისადმი მტრულად განწყობილი მსხვილი პარტიების წარმომადგენლები. კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ჟორდანიას მთავრობის ყოფილი მინისტრი, ქართველ მენშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ნოე ხომერიკი. კომიტეტმა კურსი აიღო შეიარაღებული აჯანყებისაკენ, და არა მხოლოდ სიტყვით – მასში შეიქმნა სამხედრო ცენტრი და დაიწყო მოხალისეთა წვრთნა, რათა გამართულიყო ბრძოლა მათთვის საძულველი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ბერიამ შეძლო აგენტების ჩანერგვა "დამოუკიდებლობის კომიტეტში" და მისი წევრები თანდათან იკავებდნენ ადგილს გისოსებს მიღმა. წლის დასაწყისში აღმოჩენილ იქნა ორი ტიპოგრაფია, აპრილში დააპატიმრეს მენშევიკთა კონტრდაზვერვის უფროსი, ივნისში კი ხელში ჩაიგდეს არალეგალური ცენტრალური კომიტეტი.

9 ნოემბერს დააპატიმრეს ნოე ხომერიკი, გამოჩენილი მენშევიკი, პარტიის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ხელთ იგდეს ასევე მისი შტაბი და დოკუმენტები, რომლებიც ამხელდნენ მათ კავშირს უცხოეთის ცენტრებთან და რუს "კოლეგებთან", განადგურებულ იქნენ ადგილობრივი კომიტეტები ფოთში, გორში და აფხაზეთში.

"ოპოზიციის" დაპატიმრებული ლიდერის შემცვლელად ჟორდანია აგზავნის ახალ კადრს – ვალიკო ჯუღელს. მას თავიდანვე "საკუთარ ნებაზე დაატარებენ" ჩეკისტები. მან მოთვალთვალეები მხოლოდ 1924 წელს შენიშნა და მიმალვა სცადა, მაგრამ დააპატიმრეს. ბერიას რჩევით, ჯუღელი ციხიდან ღია წერილით მიმართავს თავის თანამოაზრეებს რომ ხელი აიღონ უაზრო ბრძოლაზე – სხვათა შორის, უაზრო აჯანყების დაწყება მხოლოდ ორი კვირით გადავადდა და 15-ის ნაცვლად დაიწყო 1924 წლის 29 აგვისტოს. ამ დღეს თავად გიორგი წერეთლის რაზმმა ჭიათურა აიღო და გამოაცხადა "საქართველოს დროებითი მთავრობის" შექმნა, მაგრამ უკვე საღამოსათვის "მთავრობა" გაიქცა ჭიათურიდან, როგორც კი შეიტყო წითელარმიელთა რაზმების მოახლოების შესახებ. მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ნაწილის აბუნტება მოხერხდა – აჯანყებულთა რიცხვი 500 კაცს არ აჭარბებდა – მეორე დღეს კი ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდა.

საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩკ) ანგარიშში ნახსენები იყო კიდევ რამდენიმე საქმე, რომელიც ეკონომიკას ეხებოდა, მაგრამ კარგი იქნება თუ მათაც ჩამოვთვლით, რათა თვალნათლივ წარმოვიდგინოთ რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა:

** ჩატარდა ვალუტის გადამყიდველებისაგან ვალუტის ამოღების მასობრივი ოპერაცია, რომელმაც საშუალება მოგვცა მოგვეხდინა კავკასიის ფულადი ნიშნით ერთ მილიარდამდე ღირებულების ფასეულობათა ამოღება;*

** გამოვლინდა ყალბი ვალუტის მომჭრელთა ბანდა, რომლებიც მილიონობით ნომინალის კავკასიურ ბონებს ბეჭდავდნენ. დამნაშავეები მიჩქმალულნი იყვნენ ბაქოში. საქმე გადაეცა აზერბაიჯანის ჩკ-ს;*

სხვა გამოვლენილი დანაშაულებიდან ყურადღებას იქცევენ შემდეგი სახის კანონდარღვევები:

* ტაბტრესტის (თამბაქოს წარმოებავაჭრობის ტრესტი) სავაჭრო განყოფილების უფროსის გერმანის საქმე, რომელსაც ბრალი დაედო ტრესტის ქონების გაფლანგვასა და კერძო დავაჭრო ფირმებთან დანაშაულებრივ კავშირში;

* ქალაქ ბათუმში დაპატიმრებულ იქნა ყალბი ვალუტის გამსაღებელთა ბანდა;

* ბათუმის ჩკ-ს მიერ კოოპერატივის გაქურდვის საქმის გახსნა და 3 ათასი ლირის ნაქურდალი საქონლის ამოღება;

* კოკაინით მოვაჭრეთა დაპატიმრება, რომელთაგანაც ამოღებული დიდძალი საქონელი და ფულადი თანხა;

* ჭიათურაში სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი 180.000 ფუთი დაკარგული მარგანეცის ადგილმდებარეობის დადგენა და ამოღება;

* მედიკამენტებით სპეკულაციის ერთერთი არხის გადაკეტვა, რომელიც სახელმწიფომ შეიძინა ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ახალგაზრდა თანამშრომელი ითვისებდა არა მხოლოდ ნაგანის მოხმარების უნარებს, არამედ იწრთობოდა როგორც საქმის მკეთებელი ადამიანი, რომელიც მყვირალა ლოზუნგების მიღმა კონკრეტულ საქმეებს ხედავდა და ერკვეოდა მართვის ურთულეს მექანიზმებში. იმ დროის ამიერკავკასია წარმოადგენდა უაღრესად თავისებურ ტერიტორიას, კვაზისახელმწიფოებრივ წარმონაქმნს.

"მე ვფიქრობ, რომ ზოგიერთ ამხანაგს, რომელიც მუშაობს ...საქართველოდ წოდებული ტერიტორიის ნაწილზე, თავში ყველაფერი ვერა აქვს წესრიგში" – მახვილგონივრულად შენიშნა ერთხელ სტალინმა მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში.

1921 წილს ზაფხულში ი. სტალინმა (მაშინ ჯერ კიდევ ეროვნების საქმეთა სახალხო კომისარმა და მუშურ-გლეხური ინსპექციის ხელმძღვანელმა), რომელიც დასასვენებლად იმყოფებოდა ნალჩიკში, გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო რუსეთის კომპარტიის ცეკას კავკასიის ბიუროს მუშაობაში. ივნისის მიწურულს იგი საქართველოში გაემგზავრა, 6 ივლისს კი სიტყვით გამოვიდა თბილისის პარტორგანიზაციის საერთო კრებაზე.

სტალინი: "მე მახსოვს 1905-1917 წლები, როცა ...კავკასიის ეროვნებათა მშრომელებს შორის ძმური სოლიდარობა სუფევდა... ახლა, ტიფლისში (ასე იწოდებოდა თბილისი 20-30-იან წლებში) ჩამოსულს თვალში მომხვდა ამ სოლიდარობის დეფიციტი... წინა პლანზეა გამოსული ნაციონალიზმი, ძლიერდება სხვა ეროვნების ამხანაგებისადმი უნდობლობა, ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული და სხვა სახის ნაციონალიზმები თავსაყრელად გვაქვს...

როგორც ჩანს, საქართველოში (მენშევიკური), აზერბაიჯანში (მუსავატური) სომხეთში (დაშნაკური) ნაციონალური ხელისუფლებების სამწლიანმა მოღვაწეობამ თავისი შედეგები მოგვცა. ეს ეროვნული ხელისუფლებები... ნერგავდნენ რა მასებში აგრესიულ ნაციონალიზმს, მიგვიყვანა იქამდე, რომ ამ პატარა რესპუბლიკებში ჩამოწვა მტრული ნაციონალური ატმოსფეროს სქელი ბურუსი, რომელმაც საქართველო და სომხეთი რუსული პურისა და აზერბაიჯანული ნავთობის გარეშე დატოვა, აზერბაიჯანი და რუსეთი კი ბათუმიდან შემომავალი საქონლის გარეშე დარჩა".

რა თქმა უნდა, ზუსტი დაკვირვების შედეგია, რომელიც ეფუძნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ზნეობრივ საწყისთა ღრმა ცოდნას.

სტალინი: "საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს საკუთარი სახელმწიფოებრიობის საშუალება რუსულმა რევოლუციებმა მისცეს. და ამ სამმა ერმა 1917 წლის 11 ნოემბერს შექმნეს საერთო მთავრობა. 1918 წლის 26 მაისს კი რუსეთისადმი მტრულად განწყობილი გერმანიისაგან შეგულიანებულმა ქართულმა ელიტამ ქედმაღლურად გამოაცხადა მეზობლებისაგან სრული დამოუკიდებლობა. სამი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობამ საკუთარ კანზე იწვნია, თუ სინამდვილეში რა ფასი აქვს "ყველაზე დამოუკიდებელი მთავრობის" დაპირებებს".

ამიტომაც არ აბუნტებულან, როცა 1921 წლის თებერვალში დროებითი მთავრობის მინისტრების ნაცვლად მოვიდნენ სახალხო კომისრები. მაგრამ სახალხო კომისრებმა უცებ აითვისეს ადგილობრივი სამთავრობო "კოლორიტი".

არა მხოლოდ სტალინს, არამედ ნებისმიერ ადამიანს, რბილად რომ ვთქვათ, შეაშფოთებდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მახარაძის მიერ გამოცემული ქართული დეკრეტები:

"1922 წლის 31 მარტი. დღეიდან საქართველოს საზღვრები გამოცხადდეს დახურულად და შეწყდეს ლტოლვილების შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე..."

&1. პიროვნებებმა, რომელთაც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა სურთ, უნდა გადაიხადონ 50.000 რუბლი.

&5. პირებს, რომლებმაც 1917 წლის 13 აგვიტოს შემდეგ გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი და მოინდომებენ ჩვენს ქვეყანაში მუდმივ სახხოვრებლად დარჩენას, უნდა გადაიხადონ 1 მილიონი რუბლი...

საქართველოს მოქალაქე ჰკარგავს მოქალაქეობას, თუ იგი ცოლად გაჰყვება უცხოეთის მოქალაქეს."

"პოპულარული" სეპარატიზმის რეალური არსი მდგომარეობდა იმაში, რომ "ახალი საბჭოელები" ცდილობდნენ ამერიკული "სტანდატრ ოილისა" და ბათუმის ნავთობსადენის დენაციონალიზაციას და ხელში ჩაგდებას. სწორედ ამ ნავთობსადენის მეშვეობით, ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე იქცა ბათუმი იმ ძირითად პორტად, რომელზეც გადიოდა რუსეთის იმპერიიდან ბაქოს ნავთობისა და ნავთის ექსპორტის 88 პროცენტი. 1922 წლიდან სახელგანთქმული "სტანდარტ ოილის" შვილობილმა კომპანიებმა ნავთობის მოპოვების მოცულობის გასაზრდელად აფშერონზე ჩამოიტანეს დიდძალი საბურღი მოწყობილობა, თავად "სტანდარტ ოილს" კი განზრახული ჰქონდა კონცესირების გზით ბათუმის ნავთობსადენის ხელში ჩაგდება. პირველ მსოფლიო ომამდე ბაქოში მოიპოვებოდა მსოფლიოში მოპოვებული ნედლი ნავთობის რაოდენობის ნახევარზე მეტი, ბათუმი კი მსოფლიოს ნავთობის ბაზრის უმთავრესი ტერმინალი გახლდათ. საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ ამ სამრეწველო სუბიექტებზე მოდიოდა საბჭოთა მოკრძალებული ექსპორტის 20 პროცენტი. ამას უნდა დავუმატოთ მარგანეცი, რომელსაც მეფის რუსეთის იმპერია მოიპოვებდა და მსოფლიო ექსპორტში მისი წილი შეადგენდა 52 პროცენტს. აქედან კი ყოველწლიურად მოპოვებული ერთი მილიონი ტონა (76 პროცენტი) მოდიოდა ჭიათურის მარაგებზე. გაიხსენეთ "განმანთავისუფლებელი მოძრაობა" და ნათელი გახდება მისი მიზანი. საქართველოს გასაბჭოების პერიოდში მარგანეცი ჭიათურაში პრაქტიკულად აღარ მოიპოვებოდა. მაგრამ ბოლშევიკების შემოსვლისთანავე, 1923 წელს, მარგანეცის წლიურმა მოპოვებამ შეადგინა 320 ათასი ტონა. და როცა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (НЭП-ი) დროს ჭიათურაში მარგანეცის მოპოვების უფლება გადაეცა კომპანიას "hariman kompani", მარგანეცის მოპოვება შემცირდა 14.500 ტონამდე.

უსაშველოდ აზვიადებდნენ რა "ქართულ ინციდენტს", ტროცკი და მისი თანამზრახველები მყარად იცავდნენ ამერიკური (ინგლისურიც) კაპიტალის ინტერესებს, რომელთაც წინაშეც ტროცკი და ტროცკისტები ვალში იყვნენ, რადგან ამერიკულ და ინგლისურ მხარდაჭერას ვერაფრით უპასუხეს.

ნუთუ ეს მდგომარეობა არაფერს აგონებს ჩვენს თანამედროვეებს, რომელთაც ახლახან გადაიტანეს "პერესტროიკისა" და "რეფორმების" საშინელებები? სუვერენული ინდუსტრიისა და აგრარული კომპლექსის გაჩანაგება გახლავთ ტერიტორიების უსისხლოდ დაპყრობა. ამ მეთოდით სარგებლობდნენ ათა და ბაბადან და სარგებლობენ ახლაც.

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,
(გაგრძელება იქნება)

ᲐᲖᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ — ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ, ᲛᲘᲖᲔᲠᲣᲚᲘ — ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ

სათამაშო ბიზნესში არსებული პრობლემები, დიდი მოგების ფონზე ბიუჯეტში გადახდილი მცირე თანხა, სოციალური პრობლემები, რომელსაც ეს ბიზნესი ქმნის, არაერთხელ გამხდარა **"ბანკები და ფინანსების"** პუბლიკაციების თემა. ფაქტია, რომ სფერო ჯერ კიდევ საკმაო რეგულირებას საჭიროებს. საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო **"სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ"** მომზადებული კანონპროექტი, რომლის თანახმადაც გადასახადების გაორმაგება იგეგმება.

ᲑᲝᲚᲝ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲐᲖᲘᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲣᲜᲕᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲔᲥᲕᲡᲯᲔᲠ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ

კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით თითოეულ სამორინეს მაგიდაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთის ოდენობა განსაზღვრულია კვარტალში 15000 ლარიდან 30000 ლარის ჩათვლით, ხოლო ახალი კანონპროექტით, 20 000 ლარიდან 40 000 ლარამდე განისაზღვრება. თითოეულ სათამაშო აპარატზე მოსაკრებლის განაკვეთი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია 1500 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით. ცვლილებების მიხედვით კი, ეს ზღვარი 2 000 ლარიდან 4 000 ლარამდე იზრდება.

ამასთან, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე მოსაკრებლის განაკვეთი 100 000 ლარიდან 120 000 ლარის ჩათვლით განისაზღვრება, ხოლო დღეს მოქმედი ნორმით, ეს ზღვარი 30 000 ლარიდან 60 ათას ლარამდეა. იზრდება მომგებიანი თამაშობის სალაროს განაკვეთიც. დღეს სალაროს მოსაკრებლის განაკვეთი კვარტალში 1000 ლარიდან 15 000 ლარამდეა, ხოლო ცვლილებებით, 1500 ლარიდან 20 000 ლარამდე იზრდება.

გარდა ამისა, დღეს მოქმედი კანონით, თითოეული კლუბის მაგიდაზე მოსაკრებლის განაკვეთი კვარტალში 3 000 ლარიდან 10 000 ლარამდეა განსაზღვრული. ახალი კანონპროექტით კი, ეს ზღვარი 4 000 ლარიდან 14 000 ლარის ფარგლებში იქნება.

მნიშვნელოვანი იყო მოსაკრებლის ზრდა, ვინაიდან სათამაშო ბიზნესის წლიური ბრუნვა თანდათან კოლოსალურ მასშტაბებს აღწევს. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია საქართველოში სათამაშო ბიზნესის შემოსავლების ზრდის ოფიციალური მონაცემებიც: 2011 წელი – 366 მილიონი ლარი, 2012 წელი – 996 მილიონი ლარი, 2013 წელი – 1.213 მილიარდი ლარი, 2014 წელი – 2.032 მილიარდი ლარი, 2015 წლის სამი კვარტლის შეჯამებით, 1.353 მილიარდი ლარი. ამ მაჩვენებლებით ირკვევა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში კაზინოების წლიური ბრუნვა თითქმის ექვსჯერ გაიზარდა.

ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ-ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲘᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲡ

მართალია კაზინოებს გაეზარდათ მოსაკრებელი, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ, სათამაშო ბიზნესი ონლაინ-სივრცეში სულ უფრო აქტიურად ინაცვლებს. ამის შესახებ აღნიშნული ბიზნესის წარმომადგენლებსაც არაერთხელ განუცხადებიათ. ონლაინ-აზარტული თამაშები კი კვლავ იმ რეალობას მორგებული კანონებით რეგულირდება, რომელიც იმ დროიდან იღებს სათავეს, როდესაც კომპიუტერი საქართველოში რამდენიმე ადამიანს თუ ჰქონდა. არადა, უკვე ძალიან ბევრი ადამიანია ჩართული ონლაინ-თამაშებში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები და არასრულწლოვნები, რომლებიც სხვისი პირადობის მოწმობის საფუძველზე თავისუფლად ახერხებენ ონლაინ-აზარტული თამაშების სივრცეში შეღწევას.

დღეს არსებული პრაქტიკით, ინტერნეტკაზინოებში დარეგისტრირება ინფორმაციის ყოველგვარი გადამოწმების გარეშე ხდება, რაც იძლევა საშუალებას, დარეგისტრირება მოხდეს ყალბი და ცრუ მონაცემებით, ან სხვა პირის მონაცემებით.

არ არსებობს წესები, რომლებიც არეგულირებენ საიდენტიფიკაციო გარემოს შექმნას, სადაც კაზინოებს შეუძლიათ არასანდო მეთოდების გამოყენება, და სადაც მთავრობის გადამოწმება პრაქტიკულად არ ხორციელდება. მაგალითად, ზოგი ინტერნეტკაზინო კლიენტის შესახებ ინფორმაციას იღებს მისი რეგისტრაციის დროს სახელით და პირადი ნომრით. თუმცა, არანაირი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი არ არის მოთხოვნილი იმისთვის, რომ დადგინდეს, შეესაბამება თუ არა ერთმანეთს სახელი და რეგისტრირებული პირადობის ნომერი. უფრო მეტიც, არანაირი კონტროლი არ არსებობს პრევენციისთვის, რომ ვინმემ ფიქტიური სახელი და პირადობის ნომერი გამოიყენოს. ასევე, არანაირი გადამოწმება არ ხორციელდება, როდესაც კლიენტი თანხას რიცხავს კაზინოს საკუთარ ანგარიშზე. უფრო მეტიც, თუ კლიენტი გადაწყეტს, რომ მის საბანკო ანგარიშზე ან საკრედიტო ბარათზე გადარიცხოს თანხა, ვინაობის გადამოწმება არ ხდება.

აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ახორციელებს აქტიურ კონტროლს, რომ ონლაინ კაზინოებში პირების რეგისტრაცია მოხდეს სტანდარტების დაცვით, რათა გამოირიცხოს ყალბი ან მისაკუთრებული მონაცემებით პირის დარეგისტრირება. ჩვენთან კი მსგავსი რამ არ არსებობს.

Pokerscout.com-ის მონაცემებით, adjarabet.com მსოფლიოს 10 ყველაზე პოპულარულ პოკერრუმში შედის.

საინტერესოა, რომ ამ ყველაფრის ფონზე ქართული ონლაინ-კაზინო adjarabet.com მსოფლიოს ყველაზე პოპულარული პოკერრუმების ათეულში მოხვდა. Pokerscout.com 10 წელია ონლაინ პოკერრუმების სტატისტიკას და რეიტინგს აქვეყნებს. საიტის ინფორმაციით, adjarabet.com მსოფლიოში მერვე ყველაზე პოპულარული ონლაინ პოკერრუმია.

"ჩვენს საიტზე ახლა უფრო მეტი ხალხი თამაშობს, ვიდრე ერთი წლის წინ, ზუსტად ამ დროს. ეს კი დღეს იშვიათობაა. გლობალური პოკერინდუსტრია წლიდან წლამდე პატარავდება და ამის ფონზე აჭარაბეთის შედეგი გამონაკლისია", – ამბობს adjarabet.com-ის პოკერის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალისტერ აივსი.

მისი თქმით, ამ ყველაფერში უდიდესი წვლილი ქართველ მოთამაშეებს მიუძღვით, რომლებიც პოკერის ენთუზიასტები არიან.

"პოპულარობა adjarabet-ის გუნდის მუშაობის შედეგია, თუმცა უდიდესი წვლილი ქართველ მოთამაშეებს მიუძღვით. ისინი პოკერის ენთუზიასტები არიან. ჩვენ კი უმთავრეს მოვალეობად ვთვლით, ჩვენს მოთამაშეებს ეკოლოგიურად სუფთა საიტი და თამაშები შევთავაზოთ. ხანდახან ეს მოკლევადიან პერიოდში მოგებაზე უარის თქმას ნიშნავს, თუმცა სწორი მიმართულებით განვითარებისა და მოთამაშეებისთვის მეტის მისაცემად კეთდება", – ამბობს ალისტერ აივსი.

ამ რეიტინგიდანაც კარგად ჩანს თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართული ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ონლაი-აზარტულ თამაშებში. ფაქტია, რომ მოთამაშეების დიდ ნაწილს სწორედ ქართველები შეადგენენ და ეს თავად adjarabet.com-ის პოკერის დეპარტამენტის ხელმძღვანელმაც აღნიშნა.

ᲐᲭᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲝᲞᲔᲠᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

საქართველოს შემდეგ, აჭარაბეთი თებერვლის შუა რიცხვებიდან სომხეთში ოპერირებასაც იწყებს. აჭარაბეთი სომეხ მომხმარებელს საშუალებას მისცემს, კომპანიის ყველა პროდუქტით ისარგებლოს. სომეხ მოთამაშეებს საშუალება ექნებათ, ეროვნულ ვალუტასთან ერთად, დოლარში ან ლარში ითამაშონ.

"ჩვენ ძალიან ადვილად დავაკმაყოფილეთ ის არცთუ მარტივი მოთხოვნები, რომლებიც სომხეთში ოპერირების ლიცენზიისთვის აუცილებელია", – აცხადებს აჭარაბეთის აღმასრულებელი დირექტორი კობა დავარაშვილი.

კობა დავარაშვილის განცხადებით, აჭარაბეთის უპირატესობა სომხურ ბაზარზე არსებულ სხვა კომპანიებთან შედარებით მომხმარებლისთვის მეტი კომფორტის შეთავაზებაა. მისი თქმით, ქართულ ბაზარზე უკვე არაერთი პროდუქტია დამკვიდრებული, რომელიც სომხურ ბაზარზე ჯერ არც კი არსებობს.

"ჩვენ გადახდის საშუალებებში ვიქნებით ბევრად მოქნილები და მაღალტექნოლოგიურები. აჭარაბეთმა სომხეთის ფოსტასთან კონტრაქტი დადო, რომლის მიხედვით 400-მდე ფილიალი მოგვემსახურება და სომეხ მოთამაშეებს პრაქტიკულად ყოველ ორ ნაბიჯში ფულის შეტანა/გამოტანა შეეძლებათ. ბარათით ოპერირების შესასრულებლად სომხეთში მცხოვრებ მოთამაშეებს უნიკალურ შეთავაზებას გავუკეთებთ, რომელსაც სულ მალე გავახმოვანებთ. ჩვენი, როგორც ლიდერი ბრენდის ვალდებულებაა, ხალხს სიახლე შესთავაზოს და მუდამ პიონერის როლში იყოს", – ამბობს აჭარაბეთის აღმასრულებელი დირექტორი.

ᲝᲜᲚᲐᲘᲜ-ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲐᲠ ᲨᲔᲓᲘᲡ

ნათლად ჩანს, თუ რამდენად დიდ მასშტაბებს იძენს ონლაინ აზარტული თამაშები და რამხელა შემოსავალი აქვთ ამ ბიზნესსუბიექტებს. ხოლო ამ ყველაფრის ფონზე ყველაზე ცუდი ის არის, რომ ისინი ბიუჯეტში მხოლოდ მიზერულ გადასახადებს იხდიან. საქართველოში დღესდღეობით ათამდე ონლაინ-კაზინოა. მათგან ოთხი (აჭარაბეთი, ევროპაბეთი, კრისტალბეთი და ლიდერბეთი) ყველაზე მსხვილი და შესაბამისად, მაღალბიუჯეტიანია. თუმცა ჩვენთვის უცნობია, როგორია ყოველწლიურად ონლაინ-კაზინოების მოგება და რა მაქსიმალურ თანხას აგებენ მოთამაშეები. ონლაინ თამაშების ორგანიზაციებისთვის დამატებითი გადასახადები არ არსებობს, ეს ნიშნავს, რომ ონლაინ-თამაშების ბიზნესს ქვეყნის ეკონომიკაში არანაირი ფისკალური ეფექტი არ აქვს და ონლაინ-თამაშებიდან საქართველოს ბიუჯეტში გადასახადები, პრაქტიკულად, არ შედის.

გარდა ამისა, ონლაინ-თამაშები სხვა დამატებითი რისკების მატარებელიცაა. საუბარია ფულის გათეთრებაზე და ელექტრონულ კაზინოებში არსებული ანგარიშების დანაშაულებრივი მიზნებით გამოყენებაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ხარვეზი არაერთხელ მოხდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების არეალში. ამას მოწმობს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ფინანსური მეთოდების შემუშავების ჯგუფის (FAtF) და ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) რეკომენდაციები, რომელიც ინტერნეტ სათამაშო სივრცეში პირების რეგისტრაციის პროცესის დახვეწას ითვალისწინებს.

კაზინოებისთვის მოსაკრებლის გაზრდის შემდგომ, ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იფიქროს ონლაინ აზარტული თამაშების რეგულირებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სფეროს რეგულირება, რათა აღმოიფხვრას ყველა ის სოციალური პრობლემა, რასაც ეს ბიზნესი აჩენს და ამავდროულად აუცილებლად დაუწესდეს შესაბამისი გადასახადები, რათა საკმაოდ გაზრდილი მოგების ფონზე ამ ბიზნესის წარმომადგენლებმა ბიუჯეტშიც გადაიხადონ შესაბამისი გადასახადი და არ იფიქრონ მხოლოდ საკუთარი **"ჯიბის ზრდაზე"**.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲩᲔᲛᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ, ᲜᲝᲓᲐᲠᲘᲙᲝᲡ

ცხოვრების გზაზე გევლოს გმირულად,
გაბედულებით და სიმამაცით,
მამულს ეტრფოდე შენ ღირსეულად
და გმფარველობდეს წმინდა მამაცის.
გიყვარდეს მუდამ შენ ახლობელი,
იყავი გრძნობით ადამიანი
და წიგნის, სწავლის, ცოდნის მქებელი
წინსვლა გენახოს ნათელგზიანი...

* * *

ცისკრის ვარსკვლავო გამოანათე,
რომ დავინახო შენი სინათლე,
ამ მრავალტანჯულ მშობლიურ მხარეს
მინდა ფარავდეს უფლის სიმართლე.
ტაძარში ისმის ცისკრის გალობა,
ფსალმუნებს წარმოსთქვამს მედავითნე,
ძველი გმირობა მახსენდებოდა,
ახლა დაცემას ეულად ვითმენ.
უფლის შეწევნით მე ვდგავარ ფეხზე,
ზეცას ვუცხადებ დიად მადლობას,
წინ მივიწევი ამ ნაცნობ ველზე,
ფიქრით – ვინ შეძლებს, აწი სარდლობას?!

* * *

მსურს, რომ გხედავდე სათნოს და ერთგულს,
მხოლოდ შენ, კარგო, მოგართმევ ყვავილს
და სათნოებით ვუმღერ სიყვარულს,
მშვენიერებას ქართველი ქალის.
მიყვარს მე ქალი მანდილიანი,
სანდომიანი და მოელვარე,
ლექსთა წერაში დამეხმარება
ღამის მნათობი ბრიალა მთვარე.
ქალი – დედიკო, ქალი – დაიკო,
მეუღლე, სატრფო და სანატრელი.
დე, სიყვარულით მე მათთან ვიყო
და ჩავინავლო, როგორც სანთელი.

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ-ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐ

ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲣᲠᲘᲨᲘ ᲮᲕᲘᲗᲝᲡ – ᲛᲐᲛᲐᲜᲗᲘ ᲫᲐᲫᲐᲛᲘᲐᲡ

მამანტ ჯიმა, მუ დოუჩინი სქანი სამარგალოსია,
სო ერჩქინდი, სო ირდინი ეთი კუნთხუ ხვამელსია?
გოფალუას ოხვარგდი ჯვეში კოლხურ ნინასია,
ბუნებაქგ ვადგაცალ ხანდება დო რინა სია.
ჭყელი ყოფედას თი ლახალა ნამუქუთუ მიგერუნი,
სამარგალოში ელი-მოლი სქანი დინაფათ დარუმუნი.
სქანი ღურაქ უკლაშ ჯიმა უჩა ლენტით გომწერესი,
ჩილამაურით გილემგართი, მიკვოკვალანთ ღურუ ჭყელსი.
„ხუთი წუთი ქომუჩასი, გეთუ ზური ჩქიმ საქმექი,"
მუში რაგადი გოკოდგნი, ზურის ვაგაგებუ თექი,"
ვავა, ვავა, მუქ მადოლეს, მუ ჭყონქგრე მოტგრხგნი,
მუჭო გოფალუაში ჟამს, მოხორცქგ დო ქგდანთხგნი.
ნანაში ნინას მეგორგნდი, გურიში გამახარებელსი,
მარგალურიში დუდ ღორონთი რინაში გამასქვამებელსი.
სამარგალოს ვაგაჭყორდგ სქანი რინა, სქანი კოჩანა,
მარგალურიში ხვითო რექგნი ქიანას გილარაგადანა.
ტყვაცი, გურგინშორო მორთი, სამარგალო გაკურცხინე,
გასაკვირი, გასაკვირი, მარგალობას მუ მოუძირე.
მილიონობით ზიტყვა გორი, დღაში, სერი ართ გაფუდუ,
თინა ხოლო ქომიჩქგნა გვერდი ხანსგ სი ვარლურდუ.
ხვამელო დოიტებუდას ჩილი, სქუა, სამარგალო,
რექ დო ირო იყუაფუქ გაშინალო, ოცქვაფალო.
სქანი დოჭყაფილი ხანდასგ სამარგალოს უფუდასი,
სოდეთ მითოსვანჯგქგნი ვარდის ეურთუმუდასი.

ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲒᲣᲠᲘᲭᲕᲘᲚᲘ
ᲝᲗᲮᲝᲜᲔᲩᲓᲝᲐᲛᲨᲕᲘ ᲬᲐᲜᲔᲠᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲝ ᲗᲝᲠᲘᲐ

ილორი

სიჩქარის გადაჭარბება, ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვა! – სანქციების გამკაცრება იგეგმება

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის არჩილ თალაკვაძის განცხადებით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში რეფორმის პაკეტის განხილვა საგზაფხულო სესიის დაწყებისთანავე იგეგმება. მისი ინფორმაციით, შესაძლოა დაინერგოს ქულების სისტემა, რომლის საშუალებითაც წლის განმავლობაში ის, ვინც საპატრულო პოლიციის მიერ პირადად დაჯარიმდება, თან დაკარგავს ქულებსაც და პირობითად 100 ქულიანი ლიმიტის ამოწურვის შემდეგ მოუწევს მართვის მოწმობის შეჩერება ან შეწყვეტა და გამოცდის თავიდან ჩაბარება. თალაკვაძე განმარტავს, რომ ამ სისტემით ის მძღოლებიც, რომელთაც ჯარიმების გადახდა ადვილად შეუძლიათ, მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ.

„ვგეგმავთ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით, არასამთავრობო სექტორის ჩართულობით საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში რეფორმის პაკეტი საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე განვიხილოთ და რაც შეიძლება მოკლე დროში მივიღოთ. საუბარია, მინიმუმ რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტზე: ადმინისტრირება შესაძლოა, გამკაცრდეს ისეთ დარღვევებზე, რომელიც ავარიების ხშირი მიზეზია (სიჩქარის გადაჭარბება, არასწორი მანევრირება, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართვა და სხვა). მოხდება მართვის მოწმობის გამოცდის გადატანა რეალურ მოძრაობაში, რაც მართვის მოწმობას გახდის უფრო საიმედოს და მძღოლების საწყის კვალიფიკაციას უფრო მაღალს.

ეს სისტემა საგზაო უსაფრთხოებას და ჩვენს მოქალაქეებს დაიცავს მაშინაც კი, როცა დამრღვევ მძღოლს ჰგონია, რომ საპატრულო ეკიპაჟი ახლო-მახლო არ არის. შესაძლოა, მოხდეს სიჩქარის მოძრავი დეტექტორების გამოყენება. დღეს ასეთი დეტექტორები მხოლოდ სტაციონარულად, ბოძებზე არის დამაგრებული და დამრღვევი მძღოლები ხშირად სიჩქარეს ანელებენ ბოძთან გავლისას. მომავალში შესაძლოა, გადასატანი დეტექტორები იქნას გამოყენებული, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას იქნება განთავსებული. უნდა მოხდეს ქალაქების და გზების დაფარვა ახალი, "ჭკვიანი" ვიდეოკამარებით, რომელთა მონტაჟიც უკვე დაწყებულია. ეს ვიდეოკამერები რეაგირებას მოახდენს დარღვევებზე და იქნება ჩართული ოპერატიული მართვის ერთიან ცენტრში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახლახან შექმნა რეფორმის ფარგლებში. ამ სისტემას ექნება საგრძნობი პრევენციული ეფექტი.

საგზაო ნიშნების და უსაფრთხოების ძირითადი წესების დაცვა, ღვედის გამოყენება, საჭესთან მობილური ტელეფონით სარგებლობის აკრძალვა თუ გადასასვლელებზე გზის დათმობა, – ეს ელემენტარული წესები ხშირად, სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის ტოლფასია და ამის შესახებ რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია. ეს იქნება კარგად დაგეგმილი და წარმატებული რეფორმა, რომელიც პარლამენტის, მთავრობის და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდება და უკვე 1 წელიწადში მოგვცემს შედეგებს, გადაარჩენს ბევრი ადამიანის სიცოცხლეს, დაიცავს ბევრის ჯანმრთელობას და საქართველოში მოძრაობას გახდის უფრო უსაფრთხოს. ბუნებრივია, ქალაქის მერიის გეგმები საზოგადოებრივი ტრანსპორტის და პარკირების განვითარებაზე ამ ყველაფერს შეეხიდება და კიდევ უფრო ეფექტურს გახდის რეფორმის შედეგებს", – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

ბევრად უფრო მკაცრი ზომების მომხრეა ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი, რომელიც პიროვნების მიერ, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების სამუდამოდ ჩამორთმევის მომხრეა:

"ნასვამი მძღოლები, გალეშილი მძღოლები, დაბოლილი მძღოლები, უცოდინარი მძღოლები, თავში ავარდნილი მძღოლები, მოჯირითე მძღოლები გაიყვანეთ და დახვრიტეთ, მაგათი პატრონი დედაც!

კანონის გამკაცრება კი არა, იხვის ტოლმა!

ჩამოართვით მანქანები, დაუჭერით და ჩააბარეთ ჯართში. მართვის მოწმობები დაუწვით და ფერფლი მოაყარეთ მათივე საფლავებს!

დამიწყეს, ერთხელ სიმთვრალეზე ამდენი იქნება ჯარიმა, მეორედ სიმთვრალეზე ხელახლა ჩააბარებენ გამოცდასო. არავითარი ჯარიმა და არავითარი ხელახალი გამოცდა, ნასვამი დაჯდა ვიღაც კრეტინი საჭესთან? სამუდამოდ აეკრძალოს ავტომობილის მართვა!

მორჩა, ამოვიდა ყელში უკვე ამდენი თავხედობა!!!"– აცხადებს გელა ზედელაშვილი.

მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლების მიმართ საზოგადოების გულისწყრომამ მას შემდეგ იმატა, რაც რუსთაველის გამზირზე მთვრალი მძღოლის ჯირითს შეეწირა 26 წლის ქალიშვილის სიცოცხლე.

ამ ფაქტს უფლებადამცველი ინგა ბერიკაშვილი შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა:

"ულამაზესი გოგონა, ფსიქოლოგი სოფო ბერიძე თბილისში, რუსთაველზე მომხდარ ავარიას ემსხვერპლა!!!

ეს ის უბედური შემთხვევაა რისგანაც არავინ არაა დაზღვეული, მაგრამ თუ დადასტურდა, რომ ავარიის შემოქმედი ნასვამი იყო უმკაცრესაც უნდა დაისაჯოს!

586 გარდაცვლილია უკვე 2016 წელს და ეს ძალიან სავალალო სტატისტიკაა! ნასვამი მძღოლი – პოტენციური მკვლელია!

ჯარიმა საერთოდ უნდა იქნას ამოღებული ნასვამი მძღოლის და ასევე გადაჭარბებული სიჩქარით მოსიარულე მძღოლებზე, ეგრეევე ერთწლიანი სანქცია უნდა ამოქმედდეს!

ვიღაცამ გადაწყვიტა გიჟივით იაროს და ჩვენ რა დავაშავეთ? როდის უნდა გაითავისოთ მძღოლებმა, რომ საჭის მართვის დროს ვალდებული ხარ დაშვებული სიჩქარით იაროთ და ნასვამი არ დაჯდეთ საჭესთან! ან თავს რატომ იუბედურებთ ან სხვას რატომ აუბედურებთ?

სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული უმკაცრესი კანონი! იქნებ ციხემ მაინც დააოკოს ნაგლი და უპასუხისმგებლო მძღოლები!", – წერს ინგა ბერიკაშვილი.

გაჟონა ინფორმაციამ იმის თაობაზეც, რომ დამნაშავე მძღოლს ხელს აფარებენ ჩინოვნიკები, კერძოდ, მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი ჯაფარიძე და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი სუბარი, მაგრამ თუ საზოგადოება პრინციპულ და შეურიგებელ პოზიციას დაიკავებს დამნაშავე მძღოლის მიმართ, ავტოხულიგანს, რომლის თავხედობასაც ულამაზესი სიცოცხლე შეეწირა, დამსახურებული სასჯელი არ ასცდება!

საქართველოში სიკვდილის მომტანი მარილი გამოჩნდა!

"ეს ისეთი მძიმე ნარკოტიკია, პაციენტი 3-4 თვის განმავლობაში ჩაკეტილ სივრცეში უნდა იმყოფებოდეს, რომ კვლავ არ მოიხმაროს ეს სიკვდილის მომტანი მარილი"

ნარკოტიკის ამ ახალ სახეობას მომხმარებლები ინტერნეტით იწერენ

დაახლოებით ერთი თვის წინ საქართველოში ბიონარკოტიკის ახალი სახეობა შემოვიდა, რომლის მომხმარებელთა მდგომარეობა უკიდურესად მძიმდება და ფატალურადაც სრულდება. სპეციალისტთა ინფორმაციით, ეს არის თეთრი ფხვნილი, რომელსაც ეწევიან და ინტრავენურადაც მოიხმარენ, მისი შემცველობა კი ჯერჯერობით უცნობია. მას მომხმარებლები ინტერნეტით იწერენ. სპეციალისტების თქმით, ვინაიდან საქმე გვაქვს უცნობ ნივთიერებასთან, გავრცელებული **"ნარკანი"**, რომელსაც ზედოზირების დროს იყენებენ, ამ შემთხვევაში უძლურია. ამ საკითხის გარკვევა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში ვცადეთ.

ეკატერინე ყურაშვილი, ექიმი-ნარკოლოგი, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი-კონსულტანტი: – ეს არის მარილი, რომელიც რამდენიმე წელიწადია, რაც შემოსულია და პერიოდულად იცვლება მისი ფორმულა. შეიძლება ნივთიერების ფორმულიდან ერთი ატომი ამოვარდეს ან მისი გაძლიერების მიზნით რაღაც დაამატონ და უკვე სხვა ნივთიერება მიიღება.

საქმე გვაქვს სინთეტიკურ ნარკოტიკთან, რომელსაც კიდეც ეწევიან, იყნოსავენ და ინტრავენურადაც იკეთებენ. მარილი მეტამფიტამინის მსგავსი ნივთიერებაა და ისეთივე მოქმედება აქვს, როგორიც კოკაინს.

– რითი გამოირჩევა ეს სინთეტიკური ნარკოტიკი?

– სიძლიერითა და ტოქსიკურობით. მომხმარებელი მალე ხდება ფიზიკურად დამოკიდებული (**"ლომკას"** რასაც ვეძახით). ამ შემთხვევაში, სანამ ადამიანი ფიზიკურ დამოკიდებულებამდე მივა, ფსიქოზი უვითარდება, ხშირია ლეტალური შედეგიც.

– ამ მარილის მომხმარებლები ხშირად მოდიან თქვენთან?

– ზედოზირებით პაციენტები ჩვენთან არ ხვდებიან, სასწრაფო დახმარებას ისინი სხვა დაწესებულებებში გადაჰყავს. აბაზანის მარილი კოდური სახელია, სანამ გაიშიფრებოდა, მანამ ასე მოიხსენიებდნენ. ეს მარილი შეიძლება იყოს როგორც თეთრი, ასევე შავიც.

– ოჯახის წევრები როგორ უნდა მიხვდნენ, რომ მათი შვილი მარილის მომხმარებელია, რა სიმპტომები ახასიათებს მას და ზედოზირებისას რა ზომებს უნდა მიმართონ?

– ამ დროს გამოხედვა აქვთ უაზრო, არიან ნერვიულები, მომატებული აქვთ შფოთვა, გეომეტრიული პროგრესიით მიდის ინტელექტის დაქვეითება, უძილობა, ენერგიის მოზღვავება, აქვთ ჰალუცინაციები, ხდებიან ჰიპერაქტიურები, სვამენ ბევრ წყალს, ვინაიდან წყალს კარგავენ, შეუძლიათ 3 დღის განმავლობაშიც არ დაიძინონ. აქვთ ბოდვები, წნევის ვარდნა, მიდის ჰემოდინამიკის მონაცვლეობა, ახასიათებთ მაღალი ტემპერატურა, ტაქიკარდია – 15 წუთში 140-მდე გულისცემა, ხდებიან არაადეკვატური და თუ მარილი უთავდებათ, შეუძლიათ 2-3 დღე ეძინოთ, ანუ ითიშებიან.

ზედოზირებისას ახასიათებთ კრუნჩხვა, მაღალი ტემპერატურა, ჰაერის უკმარისობა და ამ დროს აუცილებელია სასწრაფო დახმარების გამოძახება, რათა მოხდეს პაციენტის ჰოსპიტალიზაცია რეანიმაციულ განყოფილებაში, ვინაიდან ამას თან სდევს ორგანიზმის გადაწვა, ტვინის შეშუპება, გულსისხლძარღვთა, თირკმლებისა და ღვიძლის უკმარისობა და ვითარდება ლეტალური შედეგიც.

ეს ნარკოტიკი უმოკლეს დროში ახერხებს იმას, რისი დაშავებაც სხვა ნარკოტიკს წლების განმავლობაში შეუძლია. რაც უფრო კუსტარულია ნარკოტიკი, მით უფრო ძნელია დოზის განსაზღვრა. ასეთ პაციენტებს ისეთი ფსიქოზები აქვთ, მათი მკურნალობა ძალიან რთულია.

ჩვენ სიკვდილს გადავარჩინეთ ზედოზირებული პაციენტი, მაგრამ ისეთი ფსიქიკური აშლილობა და ჰემოდინამიკის მონაცვლეობა ჰქონდა, ფსიქიატრიულში გავგზავნეთ. ეს ისეთი მძიმე ნარკოტიკია, პაციენტი 3-4 თვის განმავლობაში ჩაკეტილ სივრცეში უნდა იმყოფებოდეს, რომ კვლავ არ მოიხმაროს ეს სიკვდილის მომტანი მარილი.

ყველა ნარკოტიკს თავისებური სიმპტომი აქვს – მაგალითად, ბიოს მომხმარებლების უმრავლესობა ამბობს, ფანჯრიდან მწვანე მინდორს ვხედავდითო, აღებდნენ ფანჯარას და გადახტომას ცდილობდნენ.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ დეკემბრის შუა რიცხვებიდან დღემდე გაურკვეველი ნარკოტიკით სიკვდილიანობის 7 შემთხვევა დაფიქსირდა.

– მსგავსი ინფორმაცია ჩვენ არა გვაქვს. სინთეტიკური ნარკოტიკები ე.წ. ბომჟების ნარკოტიკებია. კუსტარული საშუალებები ჩვენთან, ძირითადად, რუსეთიდან შემოდის აფხაზეთის გავლით, **"ნიანგიც"** ასე შემოვიდა, ბიო კი – ინტერნეტით.

სულხანი, 35 წლის, ნარკომომხმარებელი: – არავინ იცის, რას შეიცავს ეს ნარკოტიკი, თუმცა გამიგია, რომ ძლიერმოქმედია და კაიფი მცირეხნიანი აქვს, რის გამოც დღეში 7-8-ჯერაც კი იკეთებენ. როგორც ამბობენ, 500-600 ლარამდე ღირს, თუმცა, თუ ფული გაქვს, რა პრობლემაა, ნებისმიერ დროს შეიძლება შეიძინო ინტერნეტით.

– თქვენ თუ მოგიხმარიათ ეს ნარკოტიკი?

– არა, რასაც გიყვებით, მხოლოდ გაგონილი მაქვს. ვიცი, რომ ინტერნეტით უკავშირდებიან რეალიზატორს, თუმცა საიდან მოდის, არ ვიცი. გამიგია, რამდენიმე ბიჭი გაკეთებიდან მალევე გარდაიცვალაო. არ ვიცი, ეს ამ ნარკოტიკის მოხმარების გამო მოხდა თუ კიდევ რამე დაამატეს. როგორც წესი, ასეთ დროს ახლობლები გარდაცვალების მიზეზზე არ საუბრობენ.

– რამდენი ხანია, რაც ხელმისაწვდომია ახალი ნარკოტიკი?

– დაახლოებით დეკემბერში შემოვიდა. არასდროს მიცდია მისი ყიდვა, 600 ლარის შოვნა ასეთი ადვილია? ჩემნაირი მომხმარებლისთვის ეს ფუფუნებაა. პოლიციის ეშინიათ და ამაზე ლაპარაკს და ინფორმაციის გავრცელებას ერიდებიან. ასე რომ, მასზე მეტი არაფერი ვიცი.

– თქვენ რომელ ნარკოტიკს მოიხმართ?

– რაც შემხვდება, იმას. ჩემს სამეგობროში არავინ გარდაცვლილა, ღმერთმა დაგვიფაროს. ისე, მსგავს ნარკოტიკებს უფრო ახალგაზრდები მოიხმარენ. მისი **"რასკრუტკა"** მიდის და ამიტომ მიეძალა ყველა. როცა არ იცი, რას იკეთებ, არ უნდა გაიკეთო. ადრე ვიცოდით მაინც, **"ბარიგა"** ვინ იყო, მასთან ვყიდულობდით წამალს, ახლა ონლაინრეჟიმში ყიდულობენ ნარკოტიკებს. ამდენი ხალხი იღუპება, მაგრამ, ეტყობა, ინფორმაციაა მწირი, ყოველ ჯერზე, ალბათ, ჰგონიათ, რაღაც ახალს და განსხვავებულს იკეთებენ. ყველასა და ყველაფერს რატომ უნდა ენდო?

ნანა ფიცხელაური

მე მომიკვდა შვილი ძალიან მიჭირს... — ვერიკო ანჯაფარიძის შეხვედრა ილია მეორესთან 1981 წელს

„ვერიკო ანჯაფარიძის შეხვედრა უწმიდეს და უნეტარეს ილია მეორესთან 1981 წელს საპატრიარქოში" – აღნიშნული სათაურით ისტორიკოსი სერგო ვარდოსანიძე სოციალურ ქსელში თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელის მსახიობ ვერიკო ანჯაფარიძისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დიალოგს ავრცელებს:

ვერიკო ანფაჯარიძე: მე ძალიან მინდოდა თქვენი გაცნობა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თქვენზე ლეგენდები დადის... მერეც, ამ ბოლო დროს, რაც ხანი გადის, ეკლესია მეძახის...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: იმედი დიდი ძალაა. ღამით სასაფლაოზე ბავშვი შეხვდა კაცს. ბავშვი კანკალებდა შიშით. შენ არ გეშინიაო. – ჰკითხა. არა. – აბა, გაიხედე. იმ შუქს ხედავ. აი, იმას ვუყურებ, მივდევ. იქ სოფელია. სოფელში კი იმედიაო...

ვერიკო ანფაჯარიძე – დიახ. იმედი რომ არ იყოს, რა გვეშველებოდა. იცით, მე მომიკვდა შვილი... ძალიან მიჭირს. მოულოდნელად ენერგია მომემატა... დიდი წყურვილი მქონდა, რაღაც ხმამაღლა მეთქვა და მივუძღვენი შვილს იბსენის **„მოჩვენებანი"**. მითხარით, არის თუ არა სხვა სამყარო...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: რასაკვირველია, არის.

ვერიკო ანფაჯარიძე: იცით, მე მატერიალისტი ვარ და ამიტომ ისეთ კითხვებს გისვამთ... არ გაგიკვირდეთ. რწმენამდე როგორ მიდის ადამიანი?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: ორი გზა არსებობს... უბრალო, სტიქიური და ცოდნით. სამწუხაროდ, მოკლებული ხართ დიდ ლიტერატურას, რომელიც არსებობს ამის შესახებ. რომ გაეცნოთ მას, მაშინ ეჭვი აღარ გექნებათ. არსებობს გარდაცვალება და არა მოსპობა.

ვერიკო ანფაჯარიძე: ის ავტორები ალბათ, ფანატიკოსები არიან?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: არა. მოგახსენებთ ნამდვილ მეცნიერებზე. მაგალითად ასტრონომებზე. დიდ დაკვირვებებს ახდენენ ისინი. ძალზე საინტერესოა, მაგალითად, თუნდაც, უკანასკნელ ხანს, კლინიკურ სიკვდილზე დაკვირვებები, ნამდვილად ძალიან საინტერესოა. მერე პარაფსიქოლოგია... ყოველივე ეს ძალიან გვაახლოვებს იმ ქვეყანას... თქვენ რომ ბრძანეთ, მატერიალისტი ვარო. ყველა ვართ მატერიალისტები, ოღონდ ესაა, ურწმუნო არ უნდა ვიყოთ. მატერია მაინც მკვდარია. მას განაგებს სხვა ძალა და ეს არის ღმერთი.

ვერიკო ანფაჯარიძე: რა არის ღმერთი?..

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: ძალა, უზენაესი ძალა. შესანიშნავად ამბობს იოანე ღვთისმეტყველი – ღმერთი არის სიყვარული. მატერიას არ უნდა მივანიჭოთ ისეთი ძალა და უფლება, რაც ღმერთს ეკუთვნის. მატერია თავისთავად უაზროა. ის კანონებს ვერ შექმნიდა...

ვერიკო ანფაჯარიძე: თქვენ რასაც ამბობთ, ამის ჭკუით აღქმა კი არა, განცდითაც ძნელია... მე მგონია, ამისათვის საჭიროა ის გარემოცვა, რაც თქვენ გაქვთ... მე ვიცი, რა არის მარტოობა. საშინელ ორომტრიალში ვცხოვრობ. ბევრ ხალხთან მიხდება ურთიერთობა, მაგრამ მაინც შემიძლია მარტო ვიყო.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: პირობებს თვითონ ადამიანი ქმნის. მთავარი ფაქტორი მაინც ადამიანია. არავის არ ექნება ისეთი ცუდი პირობები, როგორიც მე მაქვს. ხალხი ბევრი, საწუხარიც ბევრი, ცხადია, კარგიც ბევრი... მაგრამ ჩვენ მაინც ვპოულობთ დროს ლოცვისთვის...

ვერიკო ანფაჯარიძე: ლოცვა გაძლევთ სიმშვიდეს?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: დიახ. მაძლევს. მე გასწავლით ერთ ლოცვას.

ვერიკო ანფაჯარიძე: მასწავლეთ...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: **„უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ, ცოდვილნი"**... სხვათა შორის, ჩვენი წინაპრები, რომელთაც არ ჰქონდათ პირობები დასვენებული ცხოვრებისათვის, ამ ლოცვით ცხონდნენ.

ვერიკო ანფაჯარიძე: **„უფალო იესო ქრისტე... ძეო ღვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ, ცოდვილნი..."** რა კარგია. ყოველდღე წავიკითხავ, უსათუოდ!

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: შესანიშნავია. ამ ლოცვას აქვს 2000 წლის ისტორია. ამას განსაკუთრებით ხშირად იმეორებდნენ უდაბნოში ბერები... ძალიან ძლიერია. თქვენ იგრძნობთ სიმშვიდეს. ხატი გაქვთ?

ვერიკო ანფაჯარიძე: დიახ. მაქვს ხატი...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: ასევე კანდელიცაა საჭირო... უნდა დაანთოთ და ილოცოთ... ყველგან შეიძლება ილოცოთ. ადამიანი მუდამ ღმერთთანაა ამ ლოცვით. თქვენ სწორი ბრძანეთ... ჩვენ ძალიან მატერიალისტები ვართ. ადამიანი შესდგება ორი სუბსტანციისაგან. ორივეს სჭირდება საზრდო. ჩვენ ძალიან ბევრს ვფიქრობთ ჩვენს ცხოვრებაზე, სულზე ცოტას – წუთებს. იმ დროს, როცა სული მთავარია.

ვერიკო ანფაჯარიძე: მაგრამ მატერია ხომ საყრდენია?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: დიახ. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მიწიერი ცხოვრება ეტაპია. მთავარი იქაა, ჩვენი სამშობლო იქაა. დიდი საქართველო იქაა.

ვერიკო ანფაჯარიძე: თქვენ ეს გწამთ?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: მწამს... მე, იცით, ეს როდის ვიგრძენი. როცა ლოცვის დროს მოვიხსენიე ჩვენი მეფეები და პატრიარქები... ვიგრძენი კავშირი იმათთან, მათი დახმარება. ეს კავშირი საჭიროა ყველასთვის, თქვენთვისაც... თქვენი შვილი მკვდარი არაა.

ვერიკო ანფაჯარიძე: – მე მას ხშირად ვხედავ სიზმარში და მოვდივარ სიონში. მე მასთან კავშირი არ გამიწყვეტია. იცით, რა, ბატონო ილია, ცხოვრება სასტიკია.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: ცხოვრება იმონებს ადამიანს. ყველას კი არ შეუძლია ცდუნებიდან თავის დახსნა. მიეცემა დროის მდინარებას... ზოგი ფიქრობს, აქ ვიყო კარგად და იქ რაც იქნება, იყოსო. მართალია, მიწიერნი ვართ, მაგრამ იმის უნარი უნდა გვქონდეს, რომ ცოტათი ავმაღლდეთ.

ვერიკო ანფაჯარიძე: მართალს ბრძანებთ. უწინ იყო ასეთი ხალხი. ახლა ყველაფერი უფრო და უფრო ვიწროვდება. ლოკალური ხდება. პირობებიც ხომ საჭიროა...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: დიახ. მაგრამ მთავარი მოქმედი პირი მაინც ადამიანია. სიკეთესა და ბოროტებაში ადამიანი მუდამ მონაწილეობს. აი, მე გახლდით ახლახან საფრანგეთში. მქონდა საუბარი იქაურ ქართველებთან. ყველა მორწმუნეა. ერთმა არქიტექტორმა, კობახიძეა გვარად, მითხრა, რომ რთულია მისი ყოფა-ცხოვრება, დღედაღამ შრომაში ვარო. ბოლოს და ბოლოს, თქვენთვის თუ გრჩებათ დრო-მეთქი, ვკითხე. – კი, განსაზღვრული დრო მაქვსო.

ვერიკო ანფაჯარიძე: დიახ. მეც ვიყავი საფრანგეთში... იქ უფრო შენახულია სარწმუნოება, იმათ კიდევ ილუზიები აქვთ...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: სამწუხაროდ, ეს ილუზიები უკვე ქრება. იყო ერთი დიდი მეცნიერი, ტარტულიანე. ის ამბობს, რომ ყოველი ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია. ადამიანს მუდამ ახასიათებს სულიერი კავშირი ღმერთთან. როდესმე ეს გამოჩნდება და ვერავითარი მიწიერი კეთილდღეობა ვერ შეცვლის სულის მოთხოვნებს.

ვერიკო ანფაჯარიძე: ნამდვილად. მეც მჯერა ეს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: უნდა ვეცადოთ, მივყვეთ სულის ხმას... არ დავკარგოთ კავშირი... ეს აუცილებელია.

ვერიკო ანფაჯარიძე: ბატონო ილია, თქვენ გეცოდინებათ. ქრისტეს სუდარა რომ იპოვეს, ტურინის სუდარა...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: დიახ. შენახულია ის ფარჩა.

ვერიკო ანფაჯარიძე: ღმერთო, რა საინტერესოა.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: რა თქმა უნდა. თანამედროვე ადამიანს ყველაფრის ცოდნა ადგილს აღარ უტოვებს რწმენისათვის. ადრე ქრისტეს რეალურ არსებობასაც კი უარყოფდნენ, ახლა აღიარებენ. თუ ხელი მიგიწვდებათ და 1980 წლის ჟურნალ **„ნაუკა ი ჟიზნის"** პირველ ნომერს ნახავთ, ზუსტად ამის შესახებ წერია შიგ. პირველი საუკუნის მწერლებს აღწერილი აქვთ იესო ქრისტეს ცხოვრება... ეს ყოველივე სინამდვილეა.

ვერიკო ანფაჯარიძე: მამშვიდებს თქვენთან საუბარი... იცით, იმდენს ვიძახი: ღმერთო, ღმერთო... და არ ვიცი...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: ჩვენ ვილოცებთ თქვენთვის, რომ ღმერთმა გაგაძლიეროთ...

არსებული ინფორმაციით, კონგოში ქართველი მფრინავები ჩამოაგდეს

საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი...

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბრძოლო დავალების შესრულებისას არმიის კუთვნილი ორი Ми-24 ჩამოაგდეს. როგორც სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის **"არსენალის"** წყარო იტყობინება, არსებული ინფორმაციით ცნობილია, რომ ერთს ბელორუსი, მეორეს კი – ქართული ეკიპაჟი მართავდა, რომელთ ბედი ჯერ-ჯერობით უცნობია. ბელორუსი მფრინავები კონგოს სავაადმყოფოში გადაიყვანეს, მათი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ქართველი მფრინავები უცხო ქვეყნის ცაზე მშვიდობის დამყარებას შეეწირნენ... 2011 წლის 4 აპრილს, კონგოში ავიაკატასტროფის შედეგად, საქართველოს ოთხი მოქალაქე დაიღუპა. მათ შორის იყვნენ, ხომალდის მეთაური ალექსი ოგანესიანი, ტექნიკოსი ალბერტ მანუკოვი, ბორტგამცილებელი გურამ კეპულაძე და ლაინერის მეორე მფრინავი სულიკო ცუცქირიძე. ავიაკატასტროფის დროს თვითმფრინავში, რომელიც გაეროს მისიას ასრულებდა 33 ადამიანი იმყოფებოდა. ცოცხალი მხოლოდ – კონგოელი ჟურნალისტი – გადარჩა...

ქართველი მფრინავები კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცაზე 2010 წლიდან დაფრინავენ. მაშინდელმა თავდაცვის სამინისტრომ, სამხედრო მფრინავები და ტექნიკოსები სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით გაათავისუფლა, მათაც ალტერნატიული სამსახური იპოვეს... ერთ-ერთი მათგანი – სამხედრო მფრინავი, მაიორი ვეფხვია მსხვილიძე ჩვენთან საუბარში აცხადებდა, რომ ისინი საქართველოს არ ჭირდებოდნენ, ამიტომაც კონგოს მიაშურეს...

სამხედრო მფრინავის, ვეფხია მსხვილიძის თქმით, მას მუდმივი ურთიერთობა აქვს იქ დარჩენი, ქართველებთან, თუმცა, ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, მათთან დაკავშირება ცდილობს, თუმცა, ეს ჯერჯერობით შეუძლებელია... (მისი გარკვევისთანავე ჩვენს მკითხველს უახლოეს ინფორმაციას მივაწვდით)

"ერთ-ერთი ჩემს მეგობრის დაკარგვაზეა საუბარი. დანარჩენებთან დაკავშირებას ვცდილობ... კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საჰაერო და სახმელეთო ძალები ჰყავს. სახმელეთო ძალებში "კომანდოს" სპეცდანიშნულების რაზმი, სამხედრო პოლიციაა გაერთიანებული. საჰაერო ძალებს საბჭოური სამხედრო ტექნიკა აქვს. მუშა მდგომარეობაშია МИ-24-ის ტიპის საფრენი აპარატები, რომლებიც კარგად იტანს ყველანაირ ტემპერატურას, მათ შორის, სიცხეს. ასევე ჰყავთ უკვე მოძველებული СУ-25-ები, რომელთაც უფრო მეტად ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის იყენებენ, რადგან საბრძოლო დანიშნულებით მათი გამოყენება შეუძლებელია. როგორც კი СУ-25 გადაიფრენს, კონფლიქტის კერიდან პატარ-პატარა დაჯგუფებები მაშინვე იფანტებიან...

"კონგოში მუდმივად არის პატარ-პატარა კონფლიქტები, რადგან მეზობელი უგანდის ჯუჯა სახელმწიფო იარაღით ეხმარება პარტიზანებს, რომელთაც კონგოს სახელმწიფოს მიწების დაპატრონება სურთ... ჩრდილოეთ კონგოში ქალების მასობრივი განადგურების უამრავი შემთხვევა იყო – უგანდიდან გადმოსული ბანდფორმირებები იტაცებდნენ ქალებს, შახტებში ამუშავებდნენ და შემდეგ ხოცავდნენ. ისინი მუსლიმები არიან და შედიოდნენ ქრისტიანულ სალოცავებში, ქალები გამოჰყავდათ და თავებს ჰკვეთდნენ. თვე-ნახევარში 600-ზე მეტი ქალი დახოცეს. ესენი არიან უგანდის ოპოზიციონერები და ხელისუფლების შეცვლას ამ ფორმით ითხოვენ.

იქ არის გაეროს ეგიდით მყოფი ჯარიც, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში ეხმარება. გაეროს ჯარის კონტრაქტორები არიან უკრაინელები, პაკისტანელები, ტანზანიელები, ინდუსები... შესაძლოა, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც იყვნენ... იქ გავიცანით სამხედროები, რომლებსაც მომზადება თბილისის საავიაციო ქარხანაში ჰქონდათ გავლილი. ერთი მათგანი, გენერალი, დედაქალაქში ბაზის მეთაური იყო, მეორე – საჰაერო ძალების სარდალი..." – ამბობს ვეფხია მსხვილიძე.

ლალი პაპასკირი

"ილორის" კომენტარი – თითქოს ის არ გვაკლდეს, რომ წლის განმავლობაში მხოლოდ ავტოავარიებში ხუთასამდე საჯიშე ვაყსა და ქალს ვკარგავდეთ, ახლა ისიც სადარდელად გვაქვს ქცეული, რომ ევროამერიკელთა წინაშე თავის მოწონებისათვის სასიკვდილოდ განწირული ქართველი ვაჟკაცები ჯანსაღად და ტანმრთელად დაუბრუნდნენ სამშობლოს.

საწყენია, რომ ოჯახის წევრების გარდა არავის ანაღვლებს ქართველი ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, მით უმეტეს მაშინ, როცა საქართველოს დაუძინებელ მტერთა გასახარად კატასტროფული დემოგრაფიული სიტუაცია გაგვაჩნია და მომავალშიც ერის გამრავლების არავითარი პერსპექტივა არ ჩანს.

პოეტისა არ იყოს, სადა გვყავს კონგოში გადასაკარგი შვილი?

ილორი

სამოქალაქო გაერთიანების — სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-სადისკუსიო დარბაზ „ღირსების“ დამფუძნებელთა ჯგუფის გაფართოებული სხდომის მიმართვა საზოგადოებას და ხელისუფლებას

ქ. ქუთაისი, 23 იანვარი, 2017 წ.

ჩვენო თანაქალაქელებო, ძვირფასო ქუთათურებო,

სამოქალაქო გაერთიანების — სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-სადისკუსიო დარბაზ „ღირსების“ დამფუძნებელთა ჯგუფი თქვენთან ერთად შეშფოთებულია იმით, რომ ქუთაისისა და ქუთაისელებისათვის ჭეშმარიტად წმინდა ადგილზე, წმინდა დავით აღმაშენებლის მოედანზე, ისტორიულ ბულვართან და ბაღისკიდესთან, ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის გვერდით აპირებენ ააგონ ამ ადგილისათვის არქიტექტურულად სრულიად შეუფერებელი ნაგებობა, რომელიც ქუთათურებისათვის სულიერად თუ ადამიანურად არათუ მხოლოდ მიუღებელი, არამედ შეურაცხმყოფელი და სულში ჩაფურთხების ტოლფასი მკრეხელობაა.

ამ ადგილზე ადრე მავანმა გაბედა და ააგო კვების ობიექტი „თოლია“, რომელიც ქუთათურთა დიდი ძალისხმევით ავიღეთ იმ მიზნით, რომ იქ აიგებოდა რომელიმე წმინდანის სახელობის ტაძარი — კერძოდ, წმიდა დავით აღმაშენებლისა.

მას შემდეგ ბევრი ქარტეხილი გამოვიარეთ, მედროვეთა მიერ ქუთაისში არაერთი არქიტექტურული სიმახინჯე შემოგვაჩეჩეს, მაგრამ ის, რასაც დღეს ასეთი გულმოდგინებით აპირებენ, ჯერ არავის გაუბედნია.

ქუთაისში ახსოვთ, შუაგული ცენტრალური ბაღი როგორ შემოღობეს მავთულხლართებით და აპირებდნენ რაღაც შენობის აგებას. მაშინ ქუთაისელების ერთსულოვანმა პროტესტმა აღკვეთა ეს უგნურება.

ჩვენ სადავო არაფერი გვაქვს დამკვეთთან, რადგან რაც იყიდება, მას ყოველთვის გამოუჩნდება მყიდველი.

ასე, რომ პასუხი უნდა მოეთხოვოს გამყიდველს და არა მყიდველს!

როგორც ირკვევა, მიწის ეს ნაკვეთიც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, ის ყიდის, ხოლო კულტურის სამინისტრო ხელაუკანკალებლად დასტურს აძლევს ქალაქ-მუზეუმის ცენტრში კვების ობიექტი აშენდეს(!?).

საქვეყნოდ ვაცხადებთ: კმარა!.. საყდრისის დამანგრევლებს, მეტეხის უძველესი ქვის სამარხების გამანადგურებლებს ახლა მაინც ნუ მივცემთ უფლებას, კიდევ ერთი ვანდალური საქმე გააკეთონ!

ამბობენ, ქუთაისის მერია წინააღმდეგი იყო აღმაშენებლის მოედანზე კვების ობიექტის აგებისაო, მაგრამ ვერ დაძლია ზემოდან ზვავივით მოძალადებული ზეწოლაო.

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ჩვენ, საზოგადოება უნდა დავუდგეთ გვერდით მერიას და ერთად ავიცილოთ ეს სამარცხვინო განზრახვა.

ჩვენ, სწორედ ჩვენ, ხალხი ვირჩევთ ქალაქის მერსაც და საკრებულოს სრულ შემადგენლობასაც... და ვირჩევთ იმიტომ კი არა, მხოლოდ ხელფასი ვაძლიოთ, არამედ ძირითადად იმისათვის, რათა მათ უჭირისუფლონ ქალაქის ბედსა და მომავალს.

მაგრამ ამას ჩვენი რჩეულები როგორ შეძლებენ, თუ მათ არავითარი უფლებები არა აქვთ, თუ ქალაქის ტერიტორია, ყველა შენობა-ნაგებობა, ყველა სახელისუფლებო სამსახური თუ დაწესებულება, ცენტრალური ხელისუფლების მკაცრ დაქვემდებარებაშია.

ხელისუფლების ასეთი ყოვლისმომცველი ცენტრალიზაცია კომუნისტების დროსაც კი არ ახსოვს.

წარმოუდგენელი და ქალაქის საზოგადოებისათვის შეურაცხმყოფელია ჩვენს ქალაქში მშენებლობის დაგეგმარებას წარმართავდნენ არა ცნობილი ქუთაისელი არქიტექტორები და მშენებლები, არამედ თბილისში, რომელიღაც სამინისტროში მოკალათებული არაკვალიფიციური ჩინოვნიკები, რომელთათვისაც ქუთაისი მხოლოდ გასაყიდი მიწის ნაკვეთია და სხვა არაფერი.

საზოგადოების მხარდაჭერა და ავტორიტეტი ხელისუფლებას არასდროს ექნება, სანამ უაზრობამდე მიყვანილი ცენტრალიზაცია იარსებებს და ხალხის ზურგს უკან თვითნებობას ბოლო არ მოეღება.

სწორედ მმართველობის ცენტრალიზაციაა მიზეზი იმისა, რომ ქალაქდაგეგმარებაში არ ითვალისწინებენ საკმაოდ მაღალი რანგისა და კვალიფიკაციის, დიდი გამოცდილების მქონე ქუთაისელი არქიტექტორებისა და მშენებლების მოსაზრებებს, რომლებიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეწინააღმდეგებიან აღმაშენებლის მოედანზე კვების ობიექტის აგებას.

შექმნილ ვითარებაში ვერაფრით გავამართლებთ ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებს, რომლებმაც დღემდე არაერთი არქიტექტურული თვალსაზრისით უხეში დარღვევა „აჩუქეს“ ქალაქს. სწორედ ამ სამსახურებს უნდა გამოეჩინათ სათანადო პრინციპულობა, რაც მათ, როგორც ჩანს, არ ისურვეს და, ალბათ. არც ჰქონდათ ასეთი განზრახვა.

დარბაზ „ღირსების“ დამფუძნებელთა ჯგუფი მივმართავთ ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, ისმინოს ქუთათურთა ღაღადი, რათა საქართველო ახლა მაინც იხსნან ამ სამარცხვინო ნაბიჯისაგან.

ამასვე მივმართავთ სულ ახლახან არჩეულ ქუთაისის მაჟორიტარ პარლამენტარებს.

ჩვენ მივმართავთ ყველა ქუთაისელს, ქუთაისის ყველა საპატიო მოქალაქეს, მეცნიერს, მწერალს, პედაგოგს თუ საზოგადო მოღვაწეს, სტუდენტ-ახალგაზრდებს, ეპარქიას გამოვიჩინოთ მოქალაქეობრივი აქტიურობა და დავიცვათ ჩვენი ქალაქისა და თითოეული ქუთაისელის ღირსება!

მაღალი ღმერთი იყოს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მფარველი!

ირმა ჟურასბედიანი,
პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი,
დამფუძნებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი

თამაზ ბაკურიძე: ძალიან დიდი შავი ფული ტრიალებდა ბოკერიას ხელში!

„ყველა ის უბედურება და ტრაგედია, რაც კი საქართველოში მოხდა წლების განმავლობაში, დაგეგმილი იყო მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის მიერ. რა თქმა უნდა, ამას ზურაბ ადეიშვილი უწყობდა ხელს, ბოკერია მთავარი იდეოლოგი იყო“, — ამის შესახებ უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე საუბრობს და **„ნაციონალური მოძრაობის“** დროს აჭარაში მომხდარ ამბებს იხსენებს.

„სამარცხვინოა “ნაციონალების” განცხადება იმის თაობაზე, თითქოს მერაბიშვილი პოლიტპატიმარია. მე ნამდვილად არ მიხარია ვინმეს დაჭერა, მაგრამ როგორც ყოფილ პოლიტპატიმარს, ციხეში ძალიან ბევრი ადამიანი მინახავს სწორედ მერაბიშვილის მიერ გაუბედურებული. ჩემთან საკანში ისხდნენ ადამიანები, რომლებმაც არც კი იცოდნენ, რის გამო დააპატიმრეს. გამოძებნიდნენ “ნასედკას”, ვიღაცას დაადებდა ხელს, ვინც ამათ არ მოსწონდათ და ეგრევე ჩააყუდებდნენ ციხეში.

რაც მერაბიშვილს აჭარაში აქვს გაკეთებული თავისი კლანების ხელით, ეს არის უპატიებელი დანაშაული. აჭარის ინფრასტრუქტურის განვითარება სულ მაგისი ხალხის ხელში არ იყო? გრანტებს მისი მფარველობით არ იღებდნენ? ისეთებიც იყვნენ, რომლებიც დილით სხვა მანქანებით “ბლატაობდნენ”, საღამოს — სხვა მანქანებით.

არ შეიძლება, დღეს “ნაციონალები” ან პარლამენტში იყვნენ, ან კიდევ ადგილობრივ ორგანოებში, რატომ უნდა მუშაობდნენ და განცხადებებს აკეთებდნენ დამნაშავეები?

ჩემი ინფორმაციით, ასევე, ძალიან დიდი შავი ფული ტრიალებდა ბოკერიას ხელში, რადგან ის იყო სააკაშვილის მთავარი პროპაგანდისტი უცხოეთში და მას ჰქონდა ურთიერთობები ლობისტურ კომპანიებთან. უცხოეთში ყველა სახის ფინანსები გადიოდა “ჩერეზ” ბოკერია. აი, ეს თანხებიც მოსაკითხია, საიდან, როგორ? ბოკერია კურირებდა ასევე საიდუმლო ხარჯებს, რომელიც იყო ჩვენი ფული!”, — აღნიშნა ბაკურაძემ.

იმედია, მალე მოვა საქართველოში ისეთი ხელისუფალი, რომელიც არად ჩააგდებს ამერიკის მიერ ხელდაფარებული დამნაშავეების **“იმუნიტეტს”** და ვირის აბანოში გამოამწყვდევს ყველა დამნაშავეს!

არა მგონია, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს არ ჰქონდეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უშიშროების საბჭოს მდივნად მუშაობის პერიოდში გიგა ბოკერიას ხელში მხოლოდ ერთ ჯერზე გაიარა დაახლოებით 26 მილიონმა დოლარმა ე.წ. **“შავმა ფულმა”**, რომელიც ევროპელი ჩინოვნიკების მოქრთამვასა და სახვა ბინძურ გარიგებებს მოხმარდა. ამიტომაცაა, რომ ევროპის სახალხო პარტიის ლიდერი დოული და მისნაირი გადაგვარებულები დღესაც იჭრიან ვენებს იმის მტკიცებით, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები ჰყავთ.

ვანო მერაბიშვილს და ბაჩანა ახალაიას და მათ მკვლელ ზონდერებს რომ პოლიტპატიმრად გამოაცხადებს, ის არსება ან არანორმალურია, ან ფულით მოქრთამული ბინძური სულის მქონე არარაობა.

სწორედ გიგა ბოკერია — ეს თვალებგამობლიტული მახინჯი არსება იყო ნაცების მმართველობის ჟამს საქართველოში დატრიელებული ყველა უბედურების ავტორი და შემოქმედი. და თუ საქართველოს ხელისუფლება საკადრისს არ მიუზღავს ამ პოლიტიკურ დამნაშავეს, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დღევანდელი მთავრობა ბინძურ გარიგებაშია შესული ძველ თუ ახალ ნაციონალებთან!

როგორ ისჯებიან ნასვამი მძღოლები სხვადასხვა ქვეყანაში

საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების ერთ-ერთ ძირითად გამომწვევ მიზეზად საავტომობილო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვა სახელდება. მხოლოდ 2016 წელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, სიმთვრალის გამო 30.174 მართვის მოწმობის ჩამორთმევა მოხდა.

საინტერესოა, რა სასჯელებია გათვალისწინებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმ მძღოლებისთვის, რომლებიც ავტომობილს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავენ. წარმოგიდგენთ სასჯელთა ჩამონათვალს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში:

ავსტრალია: ნასვამი მძღოლების სახელები ეგზავნებათ ადგილობრივ გაზეთებს და იქ იბეჭდება წარწერით “მთვრალი და დაპატიმრებული”;

მალაიზია: ნასვამ მძღოლს აპატიმრებენ და თუ დაქორწინებულია, მეორე ნახევარსაც ციხეში სვამენ;

სამხრეთ აფრიკა: 10 წლიანი პატიმრობა და ჯარიმა 10 000 დოლარის ოდენობით;

თურქეთი: ნასვამი მძღოლი პოლიციას ქალაქიდან 30 კილომეტრის დაშორებით გადაჰყავს და აიძულებენ, უკან ფეხით დაბრუნდეს ესკორტის თანხლებით;

ნორვეგია: სამი კვირა ციხეში მძიმე სამუშაოები, ერთი წლით მართვის მოწმობის ჩამორთმევა. თუ ნასვამი მძღოლი მეორედ აღმოჩნდება მსგავს მდგომარეობაში, მართვის მოწმობას ცხოვრების ბოლომდე დაკარგავს;

ფინეთი და შვედეთი: ერთწლიანი პატიმრობა და მძიმე სამუშაოები;

რუსეთი: მართვის მოწმობა მძღოლს ცხოვრების ბოლომდე ჩამოერთმევა;

ინგლისი: ერთი წლით მართვის მოწმობის ჩამორთმევა, 250 დოლარის ოდენობის ჯარიმა და ერთწლიანი პატიმრობა;

საფრანგეთი: მართვის მოწმობის სამი წლით ჩამორთმევა, ერთწლიანი პატიმრობა და 1.000 დოლარის ოდენობის ჯარიმა;

პოლონეთი: პატიმრობა, ჯარიმა და ლექციებზე იძულებითი დასწრება;

ტაივანი: თუ მთვრალი მძღოლი გამოიწვევს სერიოზულ დაზიანებებს ან სიკვდილს, მართვის მოწმობა სიცოცხლის ბოლომდე ჩამოერთმევა, ან შესაძლოა საქმე სიკვდილით დასჯამდეც მივიდეს.

ევა გოცირიძე სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატთა სიის ჩავარდნის მიზეზებზე წერილს აქვეყნებს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ევა გოცირიძე არ გამორიცხავს, რომ სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატთა სიის წინააღმდეგ გარკვეული პირების მუშაობა სტრასბურგის სასამართლოში მერაბიშვილის საქმის განხილვას უკავშირდებოდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს მხრიდან წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატების სიის ჩავარდნის მიზეზებზე გოცირიძე წერილში **„რატომ ჩავარდა სია – გაცხადებული და გაუმხელელი მიზეზები“** საუბრობს. ევა გოცირიძის თქმით, მისი კანდიდატურის წინააღმდეგ განხორციელდა ძალთა არნახული მობილიზაცია მთელი არასამთავრობო სექტორისა და **“ნაციონალური მოძრაობის”** მხრიდან, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილი წარმომადგენლისა და სახალხო დამცველის მონაწილეობით. გოცირიძის ინფორმაციით, შედეგად მივიღეთ ის, რომ სიის ჩავარდნის გამო ამჟამინდელ მოსამართლეს გაუხანგრძლივდა ვადა და მერაბიშვილის საქმეს სტრასბურგში ადეიშვილის მოადგილე განიხილავს.

ევა გოცირიძის წერილს უცვლელად გთავაზობთ:

“რაკი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეების არჩევის პატივცემულმა კომიტეტმა (ამიერიდან მოვიხსენიებ, როგორც „კომიტეტს“) საქართველოს მოსამართლეობის კანდიდატთა სია უკან დააბრუნა, ალბათ, მართლაც ჰპოვა შესაბამისი არგუმენტები. დასანანია, რომ ასე მოხდა. ახლა ყველას ვალია ამ წარუმატებლობის მიზეზები გავარკვიოთ. თუმცა, ბევრი ფარული თუ გაუმხელელი მიზეზიც არსებობს და ამაზე გვართებს უწინარესად დაფიქრება. ჩემთვის არ არის ცნობილი, გამოითქვა თუ არა რაიმე პრეტენზია უშუალოდ ჩემს კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კომიტეტში. გასაუბრების დროს კომიტეტის წევრთა რეაქციის მიხედვით მე არ დამრჩენია ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ჩემთვის მოსალოდნელი ყოფილიყო. უფრო მეტიც, კომიტეტის ბრიტანელმა წევრმა ისიც კი მკითხა, თუ როგორ მოხდა, რომ ასეთი შთამბეჭდავი (მან სწორედ ეს სიტყვა გამოიყენა – impressive) გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე, თავიდანვე არ მოვხვდი სიაში (იგულისხმა კანდიდატთა პირველი სია საქართველოდან წარდგენილი). ალბათ, ისიც საგულისხმოა, რომ დასმულ კითხვათა ერთი ნაწილი არც იყო სამართლებრივი ხასიათის. მაგალითად, ერთი ასეთი შეკითხვაც დამისვეს: როგორ აისახებოდა ჩემი არჩევა საქართველოში კარსმომდგარ საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე. ამგვარი შეკითხვების დასმა შესაძლოა იმის შემოწმებას ისახავდა მიზნად, ჩავერთვებოდი თუ არა პოლიტიკურ დისკუსიაში. მჯერა, რომ ჩემმა კოლეგებაც ღირსეულად გაართვეს თავი კომიტეტის წევრების (რომლებიც პოლიტიკოსები არიან) მიერ დასმულ სხვადასხვა ტიპის შეკითხვებს. უფრო მეტიც. ჩემზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ ძნელად წარმომიდგენია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში ბატონი ბადაშვილის ცოდნა, რომელიც უკვე დიდი ხანია რაც სტრასბურგის სასამართლოს იურისტია, ვინმეს მხრიდან ყოფილიყო დასაწუნი. მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა, და ჩემთვის კარგად არის ცნობილი, თუ რა ხდებოდა კულუარებში მას შემდეგ, რაც ჩემი გვარი გაჩნდა სიაში.

განხორციელდა ძალთა არნახული მობილიზაცია ჩემი კანდიდატურის წინააღმდეგ მთელი არასამთავრობო სექტორისა და “ნაციონალური მოძრაობის” მხრიდან – არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილმა წარმომადგენელმა, როგორც ჩანს, ერთი საერთო მიზნით შთაგონებულებმა, წერილები აფრინეს ჩემს წინააღმდეგ ხსენებულ კომიტეტში. თვით სახალხო დამცველმაც არ ითაკილა ბევრი აუგის თქმა ჩემი მისამართით ევროსაბჭოს მაღალი თანამდებობის პირებთან. როგორც არ უნდა გაიკვირვოს ბატონმა უჩამ, ეს ამბავი მეც შევიტყვე სრულიად სხვა წყაროებიდან. არავის ვსაყვედურობ, ან რა უფლება მაქვს ვინმეს ავუკრძალო იმოქმედოს თავისი ნება-სურვილის შესაბამისად. სწორედ ეს არის სინდისის თავისუფლება – უფლება იმოქმედო ისე, როგორც ამას გკარნახობს საკუთარი სინდისი. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სინდისის თავისუფლება ემყარება ადამიანის ღირსებას და მის უნარს – გაარჩიოს „კარგი“ და „ცუდი“, „კეთილი“ და „ბოროტი“. თუ დასახელებულ პირებს მიგაჩნიათ, რომ მე ვარ „ცუდი“ და „ბოროტი“, გზა ხსნილია, თქვენთვის, ბატონებო. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ძალთა ასეთ მობილიზაციას და კანდიდატურებზე ნეგატიური ინფორმაციისა და ცილისწამების შტურმს ნამდვილად შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა კომისიის წევრთა საერთო განწყობებზე. არც ისაა სწორი, რომ კომიტეტზე არ მომეცა ჩემს წინააღმდეგ წარგზავნილ პასკვილებში წამოყენებულ პრეტენზიებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა. აი ეს კი მართლაც არ შეესაბამება სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპს – მოუსმინე მეორე მხარესაც.

მე მაინც მადლობელი ვარ, რადგან დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინე. განსაკუთრებით მადლიერი ვარ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, რომელმაც დიდი პატივი დამდო და ამ პროცესში ღიად დამიჭირა მხარი. ასეთი სოლიდური და ავტორიტეტული ორგანიზაციის და ზოგიერთი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერამ იმგვარი სიამაყით ამავსო, რომ ამან მთლიანად გადაფარა ის მორალური ზიანი, რომელიც კონკრეტული პოლიტიკური მიზნებით გაერთიანებულმა და კულუარულ ხრიკებში დაოსტატებულმა ჩემმა ოპონენტებმა მომაყენეს. მაგრამ მე იმდენად ჩემზე კი არა, საზოგადო პრობლემაზე მოგახსენებთ და მასზე შემტკივა გული: გარკვეულმა ძალებმა, სამწუხაროდ, კანდიდატთა შერჩევის პროცესი პოლიტიკური ბრძოლის არენად გადააქციეს. მეჩვენება, რომ რაგინდ რა საუკეთესო პროცედურები შემოვიღოთ კანდიდატების შერჩევისას, და ვინც არ უნდა შეირჩეს, გარკვეულ ძალთა ეს თავგანწირული მობილიზაცია კონკურსის ეტაპზეც, საქართველოში თუ შემდგომ, სტრასბურგშიც, მაინც გაგრძელდება. და გაგრძელდება მანამ, სანამ სიაში ამ ძალებისათვის მისაღები კანდიდატი არ მოხვდება და სანამ გარკვეული საქმეების განხილვა არ დასრულდება ევროპის სასამართლოში. დიახ, ეს შეიძლება მართლაც უკავშირდებოდეს მერაბიშვილის საქმის განხილვას სტრასბურგში, რომელიც მარტის თვეშია ჩანიშნული და სხვა მომავალ საქმეებს. თორემ, განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ სტრასბურგის მოსამართლის შერჩევა პირველად მოხდა კონკურსის გზით, სამოქალაქო სექტორის ფართო ჩართულობით, ქულობრივი შეფასების საფუძველზე, მაშინ როდესაც წინა არჩევნებზე მოსამართლეობის კანდიდატთა სია ყოველგვარი პროცედურების გაუვლელად მაშინდელი პრეზიდენტის ნება-სურვილის მიხედვით შეარჩიეს და არც სტრასბურგს მიუჩნევია ინტერესთა კონფლიქტად ასეთ პირობებში გენერალური პროკურორის (ზურა ადეიშვილის) მოადგილის კანდიდატურის წამოყენება. არავის გვახსოვს მაშინ უფლებადამცველ ბატონ უჩას და საერთოდ, არასამთავრობო სექტორს, ეს თუნდაც მორიდებით გაეპროტესტებინოს. ახლა მათ უკვე შესარჩევ კომისიაში ფართო ჩართულობაც აღარ აკმაყოფილებთ და კომისიაში უმრავლესობით წარმომადგენლობას მოითხოვენ და ეს კარგის მაჩვენებელია, კერძოდ, დემოკრატიის განვითარებისა, რადგან ასეთი მოთხოვნების დაყენება მხოლოდ ფართო დემოკრატიის პირობებშია შესაძლებელი.

ასეა თუ ისე, შედეგად მივიღეთ ის, რომ სიის ჩავარდნის გამო ამჟამინდელ მოსამართლეს გაუხანგრძლივდა ვადა და მერაბიშვილის საქმეს სტრასბურგში ადეიშვილის მოადგილე განიხილავს. მოკლედ, მიზანი უკვე მიღწეულია, მიზანი, რომელიც ყოველგვარ საშუალებას ამართლებს. ასე რომ, ამ პროცედურებში ყოველთვის იყო და დღესაც არის პოლიტიკური შემადგენელი საკმაო დოზით; ისიც მტკნარი სიცრუეა, რომ სიის ჩავარდნა ძალზე იშვიათია. მხოლოდ იმ დღეს, როდესაც ჩვენ გასაუბრება გავიარეთ ევროსაბჭოს პარიზის ოფისში, ერთბაშად ორი ქვეყნის სია დაიბლოკა, უნგრეთისა და ალბანეთისა და პარიზში ჩასული კანდიდატები გასაუბრებაზეც კი არ დაუშვეს. ამ ფაქტის გამო ჩვენ დანიშნულზე 3 საათით ადრე დაგვიბარეს ოფისში. ცნობილია, რომ ზოგიერთი ქვეყნის ადგილი წლების განმავლობაში დარჩენილა ვაკანტური მიზეზთა გამო.

კანდიდატთა არც სამკაციანი და არც ხუთკაციანი სია მთავრობას არ შეუდგენია. ის კომისიამ შეადგინა გასაუბრებისა და შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე. შემდეგ, რაკი შეფასება ქულებს ემყარებოდა, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ის იყო, რომ მთავრობას სიის პირველი სამი კანდიდატი წარედგინა და ის ასეც მოიქცა. ნებისმიერი სხვაგვარი გადაწყვეტა აღქმული იქნებოდა მიკერძოებად. მე მხოლოდ მას შემდეგ გავჩნდი სამკაციან სიაში, რაც ერთ-ერთი კანდიდატურის (ქ-ნი ნანა მჭედლიძის) ჩანაცვლებაზე საქართველოს მთავრობას პირდაპირი რეკომენდაცია მისცა თავად ევროსაბჭომ. ის, თუ რატომ გააკეთა მთავრობამ არჩევანი ჩემზე, მიუხედავად იმისა, რომ მე მეხუთე ვიყავი სიაში, ხოლო ქ-ნი ანა დოლიძე კი – მეოთხე, ვერაფერს გეტყვით. ჩემთვის არავის აუხსნია ამის მიზეზები. მაგრამ შემიძლია ვივარაუდო. ვფიქრობ იმიტომ, რომ ქ-ნ ანას სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილება არ გააჩნდა და იმხანად (თუ ბოლო პერიოდში) თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

შესაბამისად, გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა თავდაცვის სფეროდან ადამიანის უფლებებისაკენ დამაკავშირებელი ხიდის გადება. მაშინ როდესაც, მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არასოდეს მიმუშავია მართლმსაჯულების სისტემის გარეთ და ადამიანის უფლებათა სფეროშიც საქმიანობის დიდი პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება გამაჩნდა. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ დიდ პატივს ვცემ ქ-ნ ნანა მჭედლიძესაც, ქ-ნ ანა დოლიძესაც და ყველა ჩემს კოლეგასა თუ კონკურენტს. მწამს, რომ არცერთი ჩვენთაგანი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებზე ნაკლებ როლს არ შევასრულებდით ადამიანის უფლებათა ევროპულ მართლმსაჯულებაში და რომ ჩვენთან დაკავშირებით არცერთი ნეგატიური გადაწყვეტილება, მიღებული სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეტაპზე, არცერთი ჩვენგანის პროფესიულ რეპუტაციას არავითარ ჩრდილს არ აყენებს. მე ყველას წარმატებას ვუსურვებ თავიანთ მომავალ პროფესიულ წინსვლაში.

ცხადია, კანდიდატების შერჩევის უფრო უკეთესი პროცედურებიც შეიძლება შევიმუშაოთ, მაგრამ ვერავითარი პროცედურები და ქულების სისტემა ვერ გვიშველის, თუ შემფასებელებლები იქნებიან მიკერძოებულნი. გასულ კონკურსში არასამთავრობო სექტორის მხრიდან ჩემი ცოდნის შეფასება მხოლოდ უსამართლო და მიკერძოებული კი არა, იმდენად აბსურდული იყო, რომ ასეთ დროს ფილოსოფიას უნდა შეაფარო თავი, ანდა, მართლა დაიჯერო, რომ მიზანი, თუ ის დიადია, ამართლებს უსამართლობას, უპატიოსნობას და ყოველგვარ მანკიერებას. არადა, ეს „დიადი მიზანი“ ის იყო, რაც შეიძლება დაბალი საბოლოო ქულა მიმეღო, არ მოვხვედრილიყავი ხუთკაციან სიაში და ჩემი შანსები თავიდანვე მაქსიმალურად შემცირებულიყო. აი, აქედანვე დაიწყო ჩემი დევნა და კამპანია ჩემი კანდიდატურის წინააღმდეგ. საერთოდაც იმ აზრის ვარ, რომ ვერავითარი კარგი კანონი და პროცედურები ვერ აქცევს ადამიანს პატიოსნად. პირიქით კი შეიძლება. პატიოსანი ადამიანის ხელში ცუდი კანონიც კი კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

და ბოლოს, თავს ნებას მივცემ გადავუხვიო ძირითად თემას და რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩემი მისამართით გამოთქმული კრიტიკის ნიადვარზე: ორიოდე დღის წინ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში ბატონების – მამუკა ახვლედიანისა და ზაზა ხატიაშვილის გამოსვლები მოვისმინე. ხატიაშვილის მხრიდან ჩემი ლანძღვა-გინება და ცილისწამება, რაოდენობრივად თუ ხარისხობრივად, ისეთ მასშტაბებს იძენს და ეს პროცესი მას ისეთ ეგზალტაციაში, აღტყინებასა და ნეტარებაში ამყოფებს, რომ ეს ჩემში მხოლოდ გაოცებასა და ღიმილს იწვევს. რაღა დაგიმალოთ და ვიხალისე ძალიან. თითქოს კინტაურს ვუცქერდი. დებატებში მართლაც ვეღარ დავჯდები თქვენთან, ბატონო ზაზა, რადგან მე კინტაური არ ვიცი და ვგონებ, ვერც ვისწავლი ვერასოდეს. აი, თქვენ კი თუ ოდესმე ვაჟკაცურ და დარბაისლურ ქცევასა და კამათს ისწავლით, მაშინ შეიძლება. თუმცა, არა მგონია ეს ოდესმე შეძლოთ. როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, „რასსა არ გეყოფათ!“ მანამდე კი, დიდი სიამოვნებით ვიხალისებ თქვენი და თქვენისთანების პოლიტიკური თოქშოუ კინტაურით.

ზოგიერთ მოვლენას რომ ვაკვირდები დღეს, დიდი სინანული მიპყრობს. შექსპირის 66-ე სონეტი მახსენდება. ახლა ის დროა, როდესაც ყოფილი მექრთამეები და კორუფციის ჭაობიდან აღზევებულები ქალწულებრივ პატიოსნებასა და მიუკერძოებლობაზე საუბრობენ, ხოლო მათთან ლოგიკურად დამეგობრებული ყოფილი კუდის აგენტები კი მორალს გვიკითხავენ, თანაც თავდაჯერებული პათეტიკითა და შთაგონებით. და ეს არის „გამოხატვის დიადი თავისუფლება“. დიახ, ჩვენში სიტყვის თავისუფლება სხვისი შეურაცხყოფისა და ცილისწამების თავისუფლების სინონიმად არის გადაქცეული... მართლაც რომ დასანანია“, – ნათქვამია წერილში.

გაზეთ “ᲝᲚᲝᲠᲘᲡ” *კომენტარი – თუ ეს ამაზრზენი სიყალბე იმიტომ ჩაიდინა ადამიანის უფლებათა ევროსასამართლომ, რომ მერაბიშვილი ციხიდან გამოიყვანონ, მათ აშკარად დააგვიანდათ, რადგან არამზადა მერაბიშვილს იმდენად აქვს შერყეული სახელი, რომ იგი ქვეყნიდან უნდა წავიდეს, რათა ხალხის ზიზღს დაემალოს. ქუჩაში მშვიდად ვერ გაივლის ეს არაკაცი, რადგან ნებისმიერი წესიერი ადამიანი სახეში შეაფურთხებს მისი და მისი ოჯახის წევრთა მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების გამო.*

იქნებ ახლა მაინც დაფიქრდნენ ის ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც ჯერ კიდევ ბრმად მიიწევენ იმ კორუმპირებული და გაპიდარასტებულ-გალესბოსებული ევროსტრუქტურებისაკენ, სადაც ნორმალურ და საქმის მცოდნე წესიერ ადამიანებზე გამარჯვებას ზეიმობენ ყოველი ჯურის არაკაცები, სადაც მერაბიშვილის პოლიციელ ეკა გიგაურის, ანტიქრისტე უფლებადამცველ უჩა ნანუაშვილისა და ვიღაც ანა ნაცვლიშვილის აზრი უფრო კომპეტენტურია, ვიდრე საქართველოს მოსახლეობის საღი ნაწილისა.

მართლაც რომ მიგვიფურთხებია უზნეოთა და ამორალურ არსებათა სამართლიანობისათვის!

ილორი

რა მოგვიტანა 2016 წელმა

ახალი წლის დადგომასთან ერთად ჯამდება განვლილი წლის მუშაობის შედეგები როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში. რა მოუტანა ქვეყანას უკვე ძველმა 2016 წელმა და რას მოუტანს ახალი 2017 წელი?

ეს კითხვა მეტად აქტუალურია საზოგადოებაში, რაც არ არის გასაკვირი. ღვთის ანაბრად მიტოვებული ხალხი ზეცისკენ იყურება და იმედს მაინც არ კარგავს. მამაზეციერი თუ შეინდობს საქართველოს მოსახლეობას, თორემ ხელისუფლების იმედი ნამდვილად აღარ აქვს.

არადა, როგორი იმედი ჰქონდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ? ბანდიტი, ჯალათი **„ნაცური“** მთავრობის ხელისუფლებიდან მოსროლის შესაძლებლობა ხალხმა მილიარდერ ივანიშვილში დაინახა და გაუმართლდა კიდევაც. მაშინ სააკაშვილის კრიმინალური ბანდის მოშორებაზე ოცნებობდა ხალხი და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ეკონომიკას.

ყურადღება ივანიშვილმა მიაქცევინა ათასი სახის დაპირებებით, ეკონომიკურ-სოციალური პროგრამებით, ერთი სიტყვით შესანიშნავი ცხოვრებით – დაყოფილი წლებზე – **„ოცნების“** მმართველობის პირველი წელი ასეთი, მეორე – ისეთი, მესამე და მეოთხე, განსაკუთრებით მეოთხე – უბედნიერესი. და ხალხმაც დაიჯერა, თანაც იმდენად, რომ დანაპირების საწინააღმდეგოდ მიღებული შედეგებიც ტრაგიკულად არ მიიჩნია. ალბათ ასეა საჭიროო – იფიქრა, თან. ისიც იფიქრა – ძნელბედობას უდავოდ კარგი ცხოვრება მოჰყვებაო. ამ იმედებში გაილია **„ოცნებური“** მმართველობის ოთხი წელი.

კარს მოგვადგა საპარლამენტო არჩევნებიც და დაიწყო იგივე დაპირებების ხელახალი დატრიალება. **„ოცნების“** შემქმნელმა ივანიშვილმა ახალი იდეების და ლოზუნგების შემოთავაზებით თავიც არ შეიწუხა და ძველითაც, უკვე ცუდად ნაცდითაც იოლას გავიდა. თუ 2012 წლის არჩევნების წინ მთავარი ლოზუნგი **„ნაცთა“** ხელისუფლებიდან გაყრა იყო, 2016 წელს **„ნაცთა“** ხელისუფლებაში დაბრუნების შესაძლებლობის მოსპობა გახდა. შემობრუნების **„მოსპობის“** ლოზუნგიც ხალხზე გადიოდა – თუ **„ოცნებას“** არ დაუჭერთ მხარს – იცოდეთ, **„ნაცები“** მობრუნდებიან და ცოცხის ტარები მონაგონი იქნებაო.

ოღონდ **„ნაცები“** არ დაბრუნდნენ და შიმშილსაც ავიტანთო – იყო ხალხის პასუხი.

მარტო ამ ლოზუნგით **„ოცნება“** ვერაფერს გახდებოდა და როგორც ამბობენ მას (ლოზუნგს) სხვა საქმეც დაუმატა – ამომრჩეველზე სახელისუფლებო ზეწოლა, მათრახისა და ნუგბარის პოლიტიკა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, საბიუჯეტო სახსრების ამოქმედება და სხვა. **„ოცნებამ“** მძიმე ამოცანა დაუსახა ხალხს – ცუდიდან და უარესიდან ამორჩევა. მეტი რა გზა ჰქონდა ამომრჩეველს. ამ ორიდან, ისევ პირველს დაუჭირა მხარი, თუმცა კი გული ეთანაღრებოდა.

დამთავრდა არჩევნები და ის-ის იყო საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვებულმა **„ოცნებამ“** მუშაობა დაიწყო, ხელისუფლების უნიათობამაც იჩინა თავი. მძიმე სტარტი აქვს **„ოცნებას“**, იმდენად მძიმე, რომ ოდნავი გამოსწორებაც შეუძლებელი ხდება. ლარი გაუფასურდა, მოსახლეობის ცხოვრების ისედაც დაცემული დონე, კიდევ უფრო დაეცა. ეკონომიკა – ისედაც მძიმე დღეში ჩავარდნილი, ქაოტურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხელისუფლების შემოთავაზებულმა **„გაჯანსაღების“** პროგრამამ თავშივე მძიმე რეაქცია გამოავლინა და ე.წ. წელში გამართვის გეგმები სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა.

ყოველივე აღნიშნულმა მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვია. ხალხი, რომელიც ივანიშვილს დადებითად მოიხსენიებდა, წყევლა-კრულვით იხსენებს. და არა მარტო მას, არამედ ყველაფერ იმას, რასაც საზოგადოება ძალდატანებით ისმენდა უკანასკნელი წლების განმავლობაში: ევროონტეგრაცია, ნატო, ვიზალიბერალიზაცია, ევროატლანტიკური სივრცე, სტრატეგიული პარტნიორი ანუ აშშ-ი და სხვა.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ 2016 წელი უდავოდ გამოირჩეოდა ვიზალიბერალიზაციაზე მოჭარბებული ლაქლაქით. ხელისუფლება წამსაც არ კარგავდა, რათა ეს თემა, როგორც საკუთარი დამსახურება, ცხვირში შეეტენა ხალხისთვის. ერთი სიტყვით, ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ჩავარდნები, ევროპაში უვიზო მოგზაურობით გადაეფარა.

ხელისუფლების უდიდეს დამსახურებად მიჩნეული უვიზო მგზავრობა, რომ არცთუ ისეთი იოლი იქნება, უვიზო მიმოსვლის ამოქმედებისთანავე გამოჩნდება. ევროპის ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც კონა საბუთებს წარადგენ საზღვარზე და თუ მესაზღვრე ეჭვს შეიტანს რომელიმეში, მოგზაურობაც იქვე დამთავრდება.

ხელისუფლება მხოლოდ ვიზალიბერალიზაციის სიკეთეზე ამახვილებს ყურადღებას და არ ცდილობს ხალხს აუხსნას იმ პროცედურების თაობაზე, რასაც უდავოდ შეიძლება მოჰყვეს პრობლემები უცხო სახელმწიფოს საზღვარზე. ასე, რომ ხელისუფლების მიერ 2016 წელს გაკეთებულ საქმეშიც კი ბევრი რამ არის ისეთი, რაც დადებითად ვერ ჩაითვლება.

დავუშვათ ყველაფერი ისე იოლად წარიმართა, როგორც ხელისუფლებას ჰგონია და ევროპის საზღვარს ე.წ. საქართველოს ტურისტების დიდი რაოდენობა მიადგა. ერთობ გაუარესდება ისედაც მძიმე დემოგრაფიული სურათი. ისედაც შემცირებული საქართველოს მოსახლეობა, კიდევ უფრო შემცირდება. ამის მაგალითები უხვად არის ევროკავშირის წევრ ბულგარეთში, რუმინეთში, ბალტიისპირა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი).

ამ სამი ქვეყნის მოსახლეობა – ევროპასთან მიერთების შედეგად, განახევრდა. არადა ამ ქვეყნების ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა რომ ასჯერ უკეთესია, ვიდრე საქართველოს, მტკიცება არ სჭირდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხელისუფლება შეგნებულად ცდილობს ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობისგან დაცლას. როდესაც საკუთარ ხალხს სამშობლოში შრომის საშუალებას ვერ აძლევ, უვიზო გამგზავრებაზე უნდა იფიქრო. და ასეც ფიქრობს ხელისუფლება.

2016 წელს, ისე, როგორც წინა წლებში, ჭარბი ლაპარაკი იყო ევროკავშირის ასოცირებული წევრობით მიღებულ სიკეთეებზე, ნატოში გაწევრებაზე, აშშ-ნ სტრატეგიულ პარტნიორობის დადებით მომენტებზე და ყველაფერ იმაზე, რასაც დასავლეთი ჰქვია. შესაბამისად საწინააღმდეგო, ერთობ არასასურველი განცხადებები ისმოდა ევრაზიულ სივრცისა და რუსეთის მიმართ.

„ოცნების“ ოთხწლიანი მართვის პერიოდში ანტირუსულ გამოხდომებს, ისეთს, როგორსაც სააკაშვილის ხელისუფლების ზეობისას ჰქონდა ადგილი, არ შეინიშნებოდა, მაგრამ ზღვარგადასული კრიტიკა და ლანძღვა მაინც არსებობდა, რაც არაერთხელ გახდა რუსი პოლიტიკოსების კომენტარების საბაბი. მარტო ის რად ღირს, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რუსეთის საელჩოს შენობასთან, მიტინგი გამართეს ალეპოსთან დაკავშირებით. ისე, როგორც ყოველთვის, დასავლეთის მიერ დაპურებულმა არასამთავრობოებმა – **„ფაშისტების, მშვიდობიანი მოსახლეობის მხოცველების“** ძახილით, იქაურობა გააყრუეს.

ქართველებმა პირნათლად შეასრულეს დასავლეთის დაკვეთა, რითაც გვერდში ამოუდგნენ პოლიტიკური წრეების მიერ ინიცირებულ საპროტესტო გამოსვლებს ამერიკა-ევროპის ქალაქებში. უნებლიედ იბადება კითხვა – რას ემსახურებოდა აღნიშნული საპროტესტო გამოსვლები – ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას თუ ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის გაშავებას? გამოცნობა ამისა ძნელი არ არის. ცხადია რუსეთის, რომელიც თავისი კონკრეტული მოქმედებით ყელში ეჩხირება დასავლეთს.

2016 წელი ტერორისტული აქტების წელიც იყო, რომელთაც ასეულობით ადამიანის სიკვდილი მოჰყვა არა მარტო ევროპაში, არამედ სხვაგანაც. ამ წელს რუსეთმა გააფართოვა თავისი სამხედრო მოქმედება სირიაში, რითაც გადაარჩინა სირიის კანონიერი ხელისუფლება დამხობისგან და სირიაში ისლამური რადიკალიზმის შავი დროშის აღმართვისგან. რომ არა რუსეთი, სირია მთლიანად ტერორიზმის უღელქვეშ მიექცეოდა, რითაც უდიდეს პრობლემებს შექმნიდა არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, მსოფლიოში.

სირიის ომი 2011 წელს დაიწყო. აშშ-ს მიერ შექმნილი **„ისლამური სახელმწიფოს“** ტერორისტული ორგანიზაცია აქტიურად ჩაერთო ანტიასადურ ომში – გაიზიარა რა საკუთარი შემქმნელების ანუ ამერიკა-დასავლეთის მოწოდებები სირიის პრეზიდენტის ასადის გაგდებასთან დაკავშირებით.

ხუთი წლის განმავლობაში ებრძოდა სირია მასზე მისეულ 100-ზე მეტი ქვეყნის ტერორისტს, მაგრამ ნაკლები შედეგით, რამეთუ დასავლეთის მიერ გაწვრთნილ, დაპურებულ და შეიარაღებულ ტერორისტებთან ბრძოლა ძნელი გამოდგა. მაშ რა იყო მიზანი აშშ-ს და მის მიერ შექმნილი კოალიციის თუ არა ტერორიზმთან ბრძოლა?

მიზანი იყო და არის – ტერორიზმის საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, საკუთარი ჰეგემონიზმის განმტკიცება. სიტყვით ტერორიზმთან ბრძოლა, საქმით – ტერორისტების ხელით სირიის ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა, ახლო აღმოსავლეთში პოზიციების განმტკიცება. ცხადია მსგავსი მიზნების საწინააღმდეგოდ რუსეთის ამოქმედებამ არა მარტო აშშ-ს ადმინისტრაციაში, არამედ მის მოკავშირე ევროპელებში რუსეთის მიმართ სასტიკი გულისწყრომა გამოიწვია, რასაც მოჰყვა პროპაგანდა რუსეთის, ირანის და სირიის ბარბაროსობისა აღმოსავლეთ ალეპოში.

რა არ დაბრალდა რუსეთს – მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ულეტვიდან დაწყებული საავადმყოფოების დაბომბვით დამთავრებული. პროპაგანდა ფაქტების გარეშე გახდა აშშ-სა და დასავლეთის მედიის მთავარი მამოძრავებელი. რუსეთმა პროპაგანდისტულ ბრძოლაში წააგო. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. ხუმრობა საქმე ხომ არ არის აშშ-ს ხელისუფლების მიერ დაქოქილ მსოფლიო მედიასთან ჭიდილი?

საქართველოს მოსახლეობა, ისე, როგორც ყოველთვის, დასავლური პროპაგანდის მთარგმნელი ქართული მედიის მსხვერპლი გახდა. ამას დაემატა ადგილობრივ პოლიტიკოსთა და არასამთავრობოთა ანტირუსული გამოხდომები – უდავოდ ფალსიფიცირებული და რეალურ ვითარებას აცდენილი.

2016 წელს ისე, როგორც მთელი 25 წლის განმავლობაში, წამითაც არ შეწყვეტილა ლაყბობა ნატოში გაწევრებასა და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის თაობაზე. სიტყვა „ლაყბობას“ იმიტომ ვიყენებ, რომ სხვა შესაფერი დახასიათება არ შეიძლება იყოს ფუჭ ლაპარაკთან დაკავშირებით. საქართველოს პოლიტიკამ, მითუმეტეს ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ ამ ორივე ორგანიზაციაში საქართველოს არავინ შეუშვებს. გარდა ამისა, რა შეშვებაზეა ლაპარაკი, როდესაც ერთსაც და მეორესაც ისეთი პრობლემები შეექმნათ, ლამის დაიშალონ.

აშშ-ი ტრამპის გამარჯვებამ კარდინალური ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ნატოსთან დაკავშირებით. არჩეულ პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ნატო ანაქრონიზმია და საერთოდ არ უნდა არსებობდეს. გარდა ამისა, ნატოს წევრები არ იხდიან საწევროს, რაც ტრამპისთვის მიუღებელია. მისი განმარტებით, გადაუხდელობის შემთხვევაში აშშ-ი დატოვებს ნატოს. თუ ნატო, როგორც ორგანიზაცია დარჩება, ის კარდინალურად შეიცვლება და წერტილი დაესმება ახალი წევრებით ამ ორგანიზაციის **„გამდიდრებას“**.

ასე ფიქრობს ტრამპი. ჩვენი ხელისუფლება კი ნატო-ნატოს გაიძახის. როგორც ჩანს დაყრუდა და არ ესმის ახალი პრეზიდენტის ხმა. არანაკლები ნეგატიური რეაქცია აქვს ტრამპს ევროკავშირის მიმართ. ის მიიჩნევს, რომ ასეთი კავშირი არ უნდა არსებობდეს, ხოლო აშშ-ს ევროპის თითოეულ ქვეყანასთან ცალკე ხელშეკრულებები უნდა ჰქონდეს გაფორმებული.

თვით ევროკავშირის არსებობას ლახვარი ჩასცა 2016 წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა რეფერენდუმმა. ინგლისის გასვლა ევროკავშირიდან 2017 წელს დაიწყება, რაც სტიმული იქნება ევროკავშირში მყოფი მემარჯვენე ძალებისთვის, რომელთა მიზანიც ისეთია, როგორიც დიდი ბრიტანეთის. ასეთ რთულ ვითარებაში ევროკავშირთან ჩახუტებაზე ოცნებაც კი ვირტუალური აზროვნების ნაყოფია.

რა მიიღო საქართველომ ევროკავშირთან ასოცირებული წევრობით? ჯერ-ჯერობით არაფერი. თუ რა მიიღეს მოლდოვამ და უკრაინამ – მოგახსენებთ. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მოლდოვამ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას. საკმაო დროა იმისთვის, რომ მოლდოველთა იმედი ნაწილობრივ მაინც გამართლებულიყო. ახალი პრეზიდენტი დოდონი აჯამებს განვლილი 2 წლის შედეგებს და სავალალო დასკვნებს აკეთებს.

მოლდოვამ დაკარგა რუსული გასაღების ბაზარი და ნაცვლად ვერაფერი მიიღო ევროკავშირისგან. დღეს, უკვე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ასოცირება გეოპოლიტიკური პროექტი იყო და არა ეკონომიკური. ის მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ ანუ ემსახურებოდა რუსეთის გავლენის სფეროდან მოლდოვას გამოყვანას.

„ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის ხელშეკრულების გაფორმებით მოლდოვამ დაკარგა რუსეთში ექსპორტის 50%, სანაცვლოდ ევროკავშირიდან არაფერი მიუღია. პირიქით, მოლდოვას ბაზრის გახსნის შედეგად ევროკავშირიდან შემოსულმა საქონელმა შექმნა დიდი დისპროპორცია იმპორტსა და ექსპორტს შორის. წელს მოლდოვაში შემოვიდა ერთნახევარი ათასი ტონა ევროპული ვაშლი. ხილი ევროპაში გავიტანეთ 55 ტონა. ასეა ყველა სხვა საქონელთან დაკავშირებით.

ჩვენ, გარდა ისტორიისა, კულტურისა, ეკონომიკისა, წარსულისა და აწმყოსი რუსეთთან ბევრი საერთო გვაკავშირებს. დღეს, რომ მოლდოვაში ჩატარდეს რეფერენდუმი, მოსახლეობის 65% მხარს დაუჭერს „ევროზესში“ გაწევრებას. მოლდოველები რუსეთს მეგობრულ სახელმწიფოდ აღიქვამენ. ჩვენთან არ არის ისეთი რუსოფობია, როგორც დსთ-ს წევრ სხვა ქვეყნებში“, – განაცხადა ახალმა პრეზიდენტმა დოდონმა.

მოლდოვამ ისე, როგორც უკრაინამ განიცადა ევროკავშირთან ინტეგრაცია, მაგრამ კიშინიოვმა გაცილებით მეტი მიიღო, ვიდრე კიევმა – უვიზო მიმოსვლის დაწესების სახით, თუმცა ამით მოლდოვის ეკონომიკას არაფერი დატყობია. ინტეგრაციამდე, რუმინეთის წყალობით, მოლდოვა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროკავშირთან. საგარეო ვაჭრობის 65% ევროკავშირზე მოდიოდა. რუსეთი კი მეორე ადგილზე იყო – 35-40%. ხელმოწერის შემდეგ რუსეთში ექსპორტი შემცირდა 40-50%-ით, მაშინ, როდესაც ექსპორტი ევროკავშირში კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა 10%-ით. 2016 წლის პირველ ნახევარში მოლდოვის სახელმწიფო ვალი გაიზარდა 6,4 მილიარდ დოლარამდე.

მოლდოვასთვის ევროკავშირის გახსნილი ბაზარი ტყუილი გამოდგა. ევროინტეგრაციის ჩარჩოებში ევროკავშირმა დააწესა კვოტები, გადასახადის გარეშე მოლდოვა-უკრაინის საიმპორტო საქონელზე, თუმცა მოლდოველმა მწარმოებლებმა ვერ შეძლეს კვოტების სრული გამოყენება. მიზეზი – ადგილობრივი მწარმოებლის ნახელავის შეუთავსებლობა ევროკავშირის სტანდარტებთან, მოლდოველი ფერმერების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა.

გარდა ამისა, არც ერთმა ევროპულმა ბიზნესმა ფული არ ჩადო მოლდოვას აგრო-სამრეწველო კომპლექსში. რატომ? იმიტომ, რომ თავის საქონელს არ შეუქმნეს კონკურენცია. ევროკავშირს მოლდოვიდან მიაქვს ის, რაც მას აინტერესებს – ხორბალი, ყურძენი, ვაშლი – მცირე მოცულობით, იმ შემთხვევაში, თუ თავისი არ კმარა. დანარჩენი საქონელი მოლდოვაში რჩება – გაუსაღებლად. ანალოგიური მდგომარეობაა უკრაინასთან მიმართებაში, ოღონდ უკრაინაში გაცილებით მძიმე სურათია, რამეთუ უკრაინა ინდუსტრიული ქვეყანაცაა.

ორივე ქვეყნის გაღარიბება ევროინტეგრაციის ნათელი მაგალითია. მოლდოვაში საშუალო ხელფასმა 199 დოლარი შეადგინა, უკრაინაში – 195 დოლარი. ამ მონაცემებით 108 ქვეყანას შორის ისინი ბოლო ადგილებზეა, ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორებიცაა ნეპალი და უგანდა. ეგვიპტეშიც კი ხალხი საშუალოდ, თვიურად მეტს იღებს (288 დოლარს), ვიდრე მოლდოვა-უკრაინაში.

სხვა ბევრი ნეგატიური მაგალითების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ვგონებ საკმარისია იმ თავგახურებული ადამიანებისთვის, ვინც დიდ იმედებს ამყარებს ევროკავშირთან თანამშრომლობაზე. საქართველოს პოლიტიკამ უნდა შეიგნოს, რომ თითო ბოთლი ღვინის შეტანა ევროკავშირის ბაზარზე, ვერავითარ ხსნას ვერ მოუტანს ქვეყანას. ერთადერთი ხსნა ისევ ტრადიციული რუსული და დსთ-ს ბაზარია. იქ იციან ქართული პროდუქციის ფასი – ჯერ-ჯერობით. და ვიდრე ჯერ-ჯერობით იციან, უნდა ვიჩქაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მასაც დავკარგავთ დიდი კონკურენციის გამო.

მძიმე გამოდგა 2016 წელი საქართველოსთვის. არანაკლები მძიმე იქნება 2017 წელიც და ეს სიმძიმე ხელისუფლების სიჯიუტით არის განპირობებული, რომელსაც თითის განძრევაც არ სურს იმ ანტიხალხური პროექტის შესაცვლელად, პრემიერმა რომ **„ახარა“** მოსახლეობას. პირიქით, ყველაფერი ქვეყნის სამომავლო ბიუჯეტში აისახა, რომელიც უყოყმანოდ მიიღო საქართველოს პარლამენტმა.

ბიუჯეტით თითქმის იგივე ხარჯებია გათვალისწინებული, რაც აქამდე იყო. ხელისუფლება არ ფიქრობს პარლამენტის თბილისში დაბრუნებაზე და ამით მსუყე საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაზე. ხელისუფლება არ აუქმებს იმ სამინისტროებს და უწყებებს, რომელთა ფუნქციონირებაც **„მაძღარი“** ყოფის პირობებშიც კი გაუმართლებელია (ევროპასთან ინტეგრაციის, შერიგების, ლტოლვილთა და განსახლების).

ხელისუფლება არ აუქმებს საზღვარგარეთის ეკზოტიკურ ქვეყნებში გახსნილ საელჩოებს. ხელისუფლება უარს არ ამბობს უცხოეთში უსაგნო მოგზაურობებზე. ხელისუფლებას არ სურს სერიოზულად განიხილოს და გადაწყვიტოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. ხელისუფლებების საკითხი. ხელისუფლება აგრძელებს ეკონომიკის სამინისტროსთვის შენობის დაქირავების ხარჯების გაღებას, მაშინ, როდესაც არაერთი ადმინისტრაციული შენობა მიტოვებულია. ხელისუფლება არ აპირებს სამინისტროებსა და უწყებებში საშტატო ერთეულების შემცირებას, პირიქით ჯანდაცვის მინისტრი ახალ სამსახურს ქმნის, რომელსაც თანამშრომელთა მუშაობის მონიტორინგი დაევალება. და სხვა.

ხელისუფლება გააგრძელებს ისეთ **„მუყაით“** შრომას, რამაც ლამის დაქცევამდე მიგვიყვანა. ასე საქმე არ გაკეთდება.

ჯ. ჯამლეტიძე,
პოლიტოლოგი

ᲛᲐᲘᲜᲪ,ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲕᲘᲪᲘ, ᲑᲘᲫᲐᲩᲔᲛᲝ, ᲗᲣ – ᲕᲘᲪᲘ, ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲩᲔᲛᲝ?!

ამას წინათ, სოციალურ ქსელში დაიბეჭდა, არც თუ დიდი მოცულობის მასალა, საკმაოდ მოზრდილი სათაურით: – **“კომბლე მიდის სოლოლაკში და ბიძინას ეკითხება, – ჯეჯელავა აქ არისო? – ლარი, ტრამპი და...”**

ეს წერილიც იმ მასალაზე გამოხმაურებაა.

არავის ეგონოს გაღიზიანების მიზეზი, სათაურის ზომა-წონამ, მასალის **“ორიგინალობამ”**, ან თუნდაც, ჩასაფრებული კაცის პოზიციამ განაპირობა; აბა, რას ბრძანებთ, მსგავსი რამ ფიქრშიაც არ გამივლია...

სანამ ჩემი შეშფოთებისა, თუ აღშფოთების შესახებ გიამბობდეთ და საკადრის პასუხსაც გაახლებდეთ, ილიას შეგონებაზე – **“მოყვარეს პირში უძრახეო!”** – დაყრდნობით, არ შემიძლია, გაკვირვება არ გამოვხატო, ამ ჩემი ოპონენტის ფსევდონიმთან – (პროვოკატორი) მიმართებაში. – ამას მაინც ვინდა გეკითხებაო? – ვიცი, რასაც გაიფიქრებთ, მაგრამ სათქმელია და გეტყვით: – რაც არ უნდა დიდი მიზანი ამოძრავებდეს ადამიანს, არავის აქვს უფლება, არათუ პროვოკატორის პირით ელაპარაკოს **“ვეფხისტყაოსანს”**, არამედ, ამ ნაწარმოების მიდამოებში, თუნდაც, ფორმალურადაც კი გაიჭაჭანოს.

ახლა, ისევ ჩვენს საქმეს მივუბრუნდეთ:

– **“სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეაო!”** – ნათქვამი კია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ამ სატირულ-იუმორისტულმა მასალამ ახლა ტირილის ხასიათზე უფრო დამაყენა, თუ სიცილის გუნება-განწყობაზე, – ჯერაც ვერ გამიგია....

დანამდვილებით მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ იქ, სადაც საუბარი ლარის გაუფასურებაზე, სოციალურ პრობლემებსა და მსგავს რაღაცეებზეა, რაკი მეც, მოსახლეობის უმრავლესობასავით, **“აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს”**, – ამ ყველაფერს, უსათუოდ, – ტირილის **“ჟანრს”** განვაკუთვნებ!

“რაცა ვის რა ღმერთმა მისცეს!”

გაზეთში აღნიშნულ მასალას, შემთხვევით (ყურადღება ვრცელმა სათაურმა და ასევე ორიგინალობამაც მიიქცია) წავაწყდი... მერე შიგდაშიგ, თვალიც შევაპარე და და პირველი, რამაც გამიელვა, – **“კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების”**- მეთქი.

თანაც, ე, მაგ თქვენი კოკიდან **“ისე, როგორც ასე მომრავლებული კოკებიდან”** გადმოდინდა, მაგრამ რა გადმოდინდა... მე, უბრალოდ, იმას მივხვდი, დუმილი ამ შემთხვევაში **“ბაჯაღლო ოქრო”** კი არა, პირდაპირ დანაშაული იქნებოდა და პასუხის გაცემა გადავწყვიტე.

– ძირითად სათქმელზე აღარ გადავიდეთო?! – მეკითხებით.

– კი, ბატონო, გადავიდეთ, მაგრამ... ოო, ერთმა “მაგრამ” იჩინა თავი: უშუალოდ წერის მომენტში როგორ მოგმართოთ?!

საერთოდ არ გიცნობთ, ელემენტარულად, სქესიც კი არ ვიცი თქვენი. აგერ, საქმეს რომ სჭირდება, თორემ სიმართლე გითხრათ არც მაინტერესებს...

სქესები და სექსები ვისაც აინტერესებს, სულ მალე გამოჩნდება და პასუხიც აქვე გაეცემა. და მაინც, როგორ უნდა მოგმართოთ ბოლოსდაბოლოს, იქნებ გადავწყვიტოთ?.... ისე რუსთაველმა კი ბრძანა: **“რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო!”**.

მაშინ ასე ვქნათ, ფსევდონიმზე შევჩერდეთ და ჩემს მიერ შემოთავაზებულ ვარიანტთაგან მომართვის ფორმა თავად შეარჩიეთ:

1. ბატონო პროვოკატორო!
2. ჩვენო პროვოკატორო!
3. ჩემო პროვოკატორო!
4. ერის პროვოკატორო!

ან, სრულიად უბრალოდ:

1. შე პროვოკატორო!
2. პროვოკატოროოო!

ისე კი, რომელიც არ უნდა შეარჩიოთ, მაპატიეთ, და მსგავსი მიმართვა სასტიკადაც მეუხერხულება და ამისთვის არც თქვენ მემეტებით.

“არა ვიძმ, ცოდნა რას მარგებს! ᲬᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲜᲘᲡᲐ” (ანუ, ჩვენი განათლების მინისტრი).

ახლა, ამ **“კოლორიტულ“** განათლების მინისტრ ჯეჯელავას რაც შეეხება, აქ, სამწუხაროდ, ყველაფერი დღესავით ნათელია, ამიტომ არც არაფერი გამკვირვებია, უბრალოდ, ჩვენი საყვარელი ბიძინა ჩოლოყაშვილის რამდენიმე ფრაზა გამახსენდა **“ბაში-აჩუკიდან”**:

– ვიცი, ბიძაჩემო, განა არ ვიცი, რომ დიდკაცობა ტკბილია, მაგრამ, კიდეც მაგისი მეშინია, არ მინდა, რომ ის გადამვარდეს გულიდან, რაც უნდა სიკვდილამდე (ქვეყნისა და ხალხის ერთგულებაო! – ნ.ნ, ხაზგასმა ყველგან ჩემია) მახსოვდეს და ვეტრფოდე...

იგივე ფრაზა მინისტრ ჯეჯელავას შემთხვევაში ასეთ სახეს მიიღებს:

– ვიცი, ბიძინა ჩემო, განა არ ვიცი, რომ დიდკაცობა ტკბილიაო, – იტყვის კიდეც და იმ **“კაი რადაცის”** მოლოდინში სიამით გაიტრუნება.

“ვარდთა და ნეხვთა, ვინათგან, მზე სწორად მოეფინებისო!” – ბრძანა რუსთაველმა და განა ჩვენი ბრალია, რომ ჯეჯელავასაც მოეფინა და განათლების მინისტრობას გამოჰკრა ხელი, კარგადაც შეიტკბო უმალ, **“დიდკაცობაც”** შეიმშვენა, სხვა ათასი საქმეც, მათ შორის – თამადობაც შეითავსა. ესაა, მხოლოდ, ავთანდილის ანდერძს, ამ ჩვენმა განათლების მინისტრმა ვერაფერი გაუგო. ჰოდა, – თამადობისასაც კი არ გამოდგებაო! – დაასკვნა და საშვილიშვილოდაც აითვალწუნა.

მერე, ასე დაღლილ-დაქანცული ჩვენი ბავშვობიდან წამოსულ ზღაპრებში შეჯეჯელავდა და პირდაპირ შიგ მოადინა ზღართანი. ახლა, იქ, რა ამბებიც დაატრიალა ყველას კარგად მოეხსენება, თავად წერილის ავტორიც დამაჯერებლად ყვება: **“მერე ფეისბუქეთის ქართველობამ ხელი კომბლებსა და კლავიატურას დაავლო და კინადამ ქსელურად მოჟეჟა განათლების მინისტრი”**.

ისე, სიმართლე გითხრათ, მაგრად კი დამწყდა გული, რადგან, მე პირადად, ამ ჩვენი კოლორიტული მინისტრის გამოჩენა ყოველთვის გადასარევ ხასიათზე მაყენებს. თუ რატომ? ამის გასაღები ისევ ზღაპარში მოვიძიე. ბატონი ჯეჯელავა, ჩემი ბავშვობის უსაყვარლეს ზღაპარ **“სამი გოჭიდან”** არ მახსოვს რომელს, – მაგრამ ერთ-ერთ მათგანს ნამდვილად მაგონებს!

ოღონდ გულწრფელად გევედრებით, ბავშვობიდან წამოსულ ამ წარმოსახვას, პიროვნების შეურაცხყოფად ნუ მიმითვლით. ესაა და ეს!!!

“აწ, ენა გმართებს გამოთქმად, გული და ხელოვანებაᲐ!”

ამონარიდი: **“...დაიცადეთ ცოტაც და მალე ალბათ ჯეჯელავა იტყვის, რომ განათლების სისტემის უვარგისობის ბრალია, 2215 წელში 9000-ზე მეტი ოჯახი რომ დანგრეულა სექსუალური პრობლემების გამო! სად უნდა მოვძებნოთ პრობლემის სათავე, თუ არა ქართულ ლიტერატურასა და სექსუალური განათლების უქონლობაში?”** ეს ჩვენი საყვარელი ლიტერატურაცა და **“ვეფხისტყაოსანიც”** ლამის საბრალდებო სკამზე არ დაგვისვა ამ ულმობელმა პროვოკატორმა? **“ხელიხელსაგოგმანები”** – მსგავსი შეფასება რას ეკუთვნის, თუ არა **“ვეფხისტყაოსანს”**?

მე-12 საუკუნიდან, ვიდრე ვახტანგ მეექვსემდე, განა ხელნაწერებითა და ზეპირსიტყვიერებით არ გადაეცემოდა თაობიდან თაობებს **“ვეფხისტყაოსანი”**?! ყველაზე ძვირფასი, ის რაც მზითვის სახით გაჰქონდა ქალს ოჯახიდან **“ვეფხისტყაოსანი”** არ გახლდათ განა?! დღესაც არსებობს მსოფლიოში **“ვეფხისტყაოსნის”** შემსწავლელი კათედრები, მაგრამ ალბათ მეთორმეტე საუკუნიდან დღემდე, მსგავსი **“ფილოსოფიით”** – არც **“ვეფხისტყაოსნის”** გმირების სექსითა და არც იმით – **“აწვდის თუ არა, ქართველ მოსწავლეს ქართული ლიტერატურა სწორ სექსუალურ განათლებას, თუნდაც “ვეფხისტყაოსნით”** – არავინ, გარდა ამ ჩვენი პროვოკატორი ავტორისა, დაინტერესებულა.

“რადგან თავია სიცრუე, ყოვლისა უბედობისაᲐ!”

აი, იმ სატკივარსაც მივადექი, რამაც ჩემი შეშფოთებაც აღშფოთებაც და წერილის მკაცრი პათოსიც ასე ერთბაშად და უნებურად მომახვია თავს. მაინც რა ხდება, რაშია საქმე?!.

რატომღაც, ამ ბოლო დროს, მავანთა მიერ, გაიზარდა **“დაინტერესება”** ქართული ფასეულობებით რასაც არაერთი **“ორიგინალური მიგნება”** და **“დასკვნა”** მოჰყოლია!

ამჯერად სამიზნე, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი ერის საუნჯე და სიამაყე – **“ვეფხისტყაოსანი”** გახდა.

ვიდრე ამონარიდებს მოგაწვდიდეთ, იმ წერილიდან, ბარემ აქვე თქვენს ყურადღებას პროვოკატორის ერთ **“საოცარ უნარზე”** შევაჩერებ: ის რისი თქმაც ამ ჩვენს პროვოკატორს თავადა სურს, ამბობს კიდეც, განა არა, მაგრამ უეჭველად სხვისი პირითა და უეჭველად სხვაზე (ამ შემთხვევაში ჯეჯელავას) ამოფარებული: აბა კარგად მოუსმინეთ და კარგად დააკვირდით: **“...დაიცადეთ ცოტაც, მალე ალბათ ჯეჯელავა იტყვისო”**, ან, **“ერთ მშვენიერ დღეს, არ გამიკვირდება ჯეჯე** (ეს ჯეჯელავას საალერსო ფორმაა ალბათ) **თუ იკითხავსო”**. **“... არც “აბოს წამება” ჩაჯდება მინისტრ ჯეჯელავას გემოვნებაშიო”**

არადა, სანამ მომავალში და სანამ ერთ მშვენიერ დღეს, ეს საცოდავი **“ჯეჯე”** რამეს იკითხავდეს ჩვენი მეტად შორსმჭვრეტელი ავტორი იმავე წუთში, უკვე იმდენს და იმნაირებს ლაპარაკობს, პირდაპირ ყურში რომ არ მოისმინება!

“ლუკმა გავარდეს და ჯამში ჩავარდესო”! – აგერ არა ყავს ჯეჯელავა?! მე შენ გეტყვი და მსგავსი გამოხტომები ჯეჯელავასგან ვინმეს გაუკვირდება? მაგრამ **“ამას ვწყინობ ავნი ავსა, თვით იქმნან და სხვას კი ზრახვენ!”**

“აზრი შენნი შენვე გბვანან მტყუანსა და შენ აგეთსაᲐ”!

ამონარიდი: – **“გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ უსექსობით იტანჯავს თავს, ისევე როგორც თინათინი, ნესტან-დარეჯანი და ფრიდონიც”!**

– ის ფაქტი გავიხსენოთო! ხომ ხედავთ, ამ საქმეში ჩვენც რავარი გავყავართ ამ დალოცვილს?!

უჰ, შენ აგაშენა ღმერთმა რომ გაგვახსენეთ, თორემ, ლამის ამოვარდნილი გვქონდა მეხსიერებიდან! ისე, რა ვიცი, ეს ჩვენი რუსთაველი სულ სხვა რამეებს კი ამბობს და:

“...ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში!”

“...მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი”, და კიდევ ვინ მოსთვლის, განა მთელი **“ვეფხისტყაოსანი”** ზნეობისა და სიყვარულის საგალობელი არ გახლავთ სრულად?

“...მო, დავსხდეთ ტარიელისთვის, ცრემლი გვდის შეუშრობელიო” – აქ რუსთაველი ცრემლებს განა იმიტომ ღვრის, ტარიელი (პროვოკატორის მოსაზრებით) უსექსობით რომ იტანჯავს თავს, – არამედ, გასაოცარ პასუხისმგებლობას გრძნობს უსაყვარლესი გმირის წინაშე და ამიტომაცაა რომ წერს: **“აწ ენა მინდა, გამოთქმა, გული და ხელოვანება, მით შევეწივნეთ ტარიელს ტურფადცა უნდა ხსენებაო”** და ამისთვის – **“ძალი მომეც და შეწევნაო”** – ღმერთს ევედრება... ხომ კარგად გაიგონეთ, აწი მაინც დამშვიდდით...

“ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელი ხორცთა ხვდებიან” – ო, ერთხელ და სამუდამოდ, ესეც დაივიწყეთ და ტარიელის ე. წ. **“სატანჯველიც”**...

ერთი სიტყვით, პატივცემულო ავტორო! ნურც ჩვენ გვტანჯავთ და ნურც საკუთარ თავს დაიტანჯავთ, ყველაზე დიდზე **“ვეფხისტყაოსანზე”** რომ არაფერი ვთქვა.

“გავგულისდი, მოვიქნიე, ვკარ მიწასა დავაწყვიდე!”

ამ ერთ ამონარიდსაც გაუძელით ძვირფასო მკითხველო და ეს ჩვენი ტანჯვა, **“ვითა სიზმარი ღამისა”** – გასრულდება.

აი ეს ამონარიდიც: **„ავთანდილს და ფატმანს ეს საკითხი** (ანუ სექსი) **მოგვარებული აქვთო. გვამცნობს „პროვოკატორი“**.

უჰ, ნუთუ მართლა?! თქვენ აგაშენათ ღმერთმა ეს რამოდენა სადარდებელი აგვაშორეთ, ა? აბა გაგრძელება ვნახოთ ახლა: – **„მაგრამ ავთანდილი არ არის იდეალური პარტნიორი“**. უი, ნუთუ ესეც იცით?! თავად ფატმანმა ხომ არ გაგანდოთ? ფატმანმა გითხრათ არა?

მოიცათ რა ხდება? რატომ მიბრაზდებით... აა, ბარემ ბოლომდე გათქმევინოთ სათქმელი?! კი, ბატონო გისმენთ: **„მაგრამ ავთანდილი არ არის იდეალური პარტნიორი, რადგან მისი პარტნიორი, თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით ცხოვრობს და მასთან ურთიერთობისას არ იყენებს უსაფრთხო სექსისთვის აუცილებელ საშუალებას – პრეზერვატივს“**.

ძვირფასო მკითხველო! აკი დაგპირდით ამ ერთ ამონარიდსაც გაუძელით – მეთქი, ჰოდა, სიტყვასაც ვასრულებ და წერასაც ნოდარ დუმბაძის **“თეთრი ბაირაღებიდან”** სულ მცირეოდენი ამონარიდით: – რაშია საქმე, ბატონო ისიდორე?

– მაინც, რა არის რა ჰქვია ამას? – იკითხა შეშინებულმა...

– მაგას არაფერი არ ჰქვია, მაგას სახელი არ აქვს!!! – უპასუხა ძია ისიდორემ.

ᲜᲐᲖᲘ ᲜᲐᲕᲠᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
მსახიობი
593 69-44-33

ილორი
ეროვნული
ინფორმაციული
სააგენტო

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ჯანო ანანიძე: მოვიდა და მითხრა, დღეიდან პატარა პირლო იქნებიო

რუსულმა სპორტულმა გაზეთმა "სპორტ-ექსპრესმა" ჯანო ანანიძესთან ვრცელი ინტერვიუ შემოგვთავაზა, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით:

– ბევრი ვერსია არსებობს, თუ რატომ გახდა "სპარტაკი" ლიდერი, რომელია მთავარი?

– კარერა. 2007 წლიდან ამ კლუბში ვარ, მხოლოდ 1 წლით ვიყავი "როსტოვში" წასული, მაგრამ ისეთი კოლექტივი, როგორიც მასიმომ შეკრა, არასოდეს გვყოლია. დღეს ყველა ერთისთვისაა და ერთი ყველასათვის. ეს ასი პროცენტით მისი დამსახურებაა. ხომ კარგად ხედავთ, რა მონდომებით თამაშობენ ბიჭები, ეს ატმოსფერო გუნდში კარერამ შექმნა.

– არა გვგონია, საქმე მხოლოდ გუნდში არსებულ ატმოსფეროში იყოს...

– კარერა ძლიერი ტაქტიკოსია. კარგად გვიხსნის, როგორ დავიცვათ თავი, როგორ შევუტიოთ. ზოგი გვეუბნებოდა, "შეტევაში იმპროვიზაციაა საჭირო", კარერა კი თამაშს მეტოქის მიხედვით გვავალებს. ზოგს ცენტრიდან უნდა შეუტიო, ზოგს ფლანგებიდან. მგონი, 24 საათი ტაქტიკაზე ფიქრობს. მასთან ერთად მუშაობა კომფორტულია, ყოველი ვარჯიში ზეიმია.

– როდის შეგარქვათ მან პატარა პირლო?

– თვე-ნახევარი იყო გასული, რაც დაინიშნა, როცა ორმხრივი თამაშის წინ ჩემთან მოვიდა და მითხრა, შეტევებს კარგად იწყებ, მინდა, რომ საყრდენის პოზიციაზე მოგსინჯოო. "იქნები, პატარა პირლო" – მითხრა მან.

– თქვენ კი თქვით, რომ პირლომდე ბევრი გიკლიათ. მაინც რა კომპონენტში?

– ის ისეთ პასებს აკეთებს, მხოლოდ უნდა გაიქცე და გამოიყენო მომენტი. ასევე მოსამატებელი მაქვს სიმძლავრეშიც.

– მერე ეგ ხომ ადვილია? ტრენაჟორები...

– არ უნდა მოინდომო მეტისმეტად. ბევრი ფეხბურთელი ამაზე გადაიწვა. "ჯდებოდნენ" პროტეინებზე, ტრენაჟორების დარბაზიდან არ გამოდიოდნენ. კუნთები კი იზრდებოდა, მაგრამ სისწრაფე, რეაქცია ზარალდებოდა. რად მინდა ასეთი კუნთები?

– კარერა ამაში გეთანხმებათ?

– დიახ და როცა "როსტოვში" ვიყავი ბოჟოვიჩიც ამ აზრზე იყო. მთავარია, შეგეძლოს 90 წუთი სირბილის ატანა. ახლა უკვე 120 წუთიც შემიძლია. იცით ეს იმის "ბრალია", რომ რეგულარულად ვთამაშობ. მაგალითად, "ამკართან" მატჩამდე ორი მატჩი გამოვტოვე და ამიტომ გამიჭირდა თამაში.

– ქართველი ფეხბურთელებიდან თქვენთვის ვინ არის ნომერ პირველი?

– დავით ყიფიანი და გიორგი ქინქლაძე. მამა ყიფიანს კარგად იცნობდა, ხოლო ქინქლაძე, როცა ნაკრებში ქცებაია გვწრთნიდა, მოდიოდა ხოლმე. მოსკოვშიც შევხვედრივართ, "ვიტესის" წინადადება განვიხილეთ.

– "ვიტესს" თქვენი წაყვანა მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობის დროს სურდა?

– დიახ, მაშინ სკამზე ვიყავი ხოლმე, არ მახსოვს ემერი იყო მწვრთნელი, კარპინი თუ იაკინი, რამდენი მწვრთნელი გამოვიცვალეთ! "ვიტესს" სურდა ჩემი იჯარით აყვანა გამოსყიდვის უფლებით. "სპარტაკის" გენერალურმა დირექტორმა ასხაბაძემ არ გამიშვა.

– საზღვარგარეთ კიდევ სად გიწვევდნენ?

– ახლახან გავიგე, რომ 17 წლის ასაკში ჩემი ყიდვა "არსენალს" სურდა. ასპროცენტიანი ვარიანტი იყო, მაგრამ "სპარტაკმა" იუარა. წელს "ვალენსია", "ვილიაერალი", "ოლიმპიაკოსი" და "ფრაიბურგი" მეპატიჟებოდნენ. მათ სურდათ, "სპარტაკთან" არ გამეგრძელებინა კონტრაქტი და იანვარში თავისუფალი აგენტის სტატუსით წავსულიყავი. ეს კი სარისკო იყო. ნოემბერში ტრავმა რომ მიმეღო, დავრჩებოდი ისე. მაგრამ მთავარი მაინც სხვაა – სხვა მწვრთნელი რომ გვყოლოდა, შესაძლოა, წავსულიყავი კიდეც.

– ამით ალენიჩევს აყენებთ ჩრდილს?

– არავითარ შემთხვევაში, მის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია. პირიქით, მადლობაც შემიძლია ვთქვა, რომ მენდო. უბრალოდ, ახლა "დავლაგდით", როგორც თავად მე, ისე გუნდი. პირველ ადგილზე ვართ, დიდებული კოლექტივია, მწვრთნელთან კარგი ურთიერთობა მაქვს. რატომ უნდა წავიდე?

– ჩემპიონები გახდებით?

– მთელი გუნდი ამით ცხოვრობს. ჩემპიონები აუცილებლად უნდა გავხდეთ. ასეთი შანსი ხელიდან რომ გავუშვათ, ფანები არ გვაპატიებენ.

– კარიერაში ცუდი დროებაც გქონიათ, ორი წელი მტკივანი ფეხით თამაშობდით...

– ნახეთ რამხელა იარა დამრჩა. თუ სწორად დავრბოდი, პრობლემა არ მქონდა, მაგრამ გვერდით გავიქცეოდი და ტკივილს ვგრძნობდი.

– და რა მოხდა მერე?

– დიეგო მანტოვანიმ, ჩვენმა ექიმმა რეაბილიტაციის კუთხით დამამშვიდა და ფინელი ქირურგი საკარი ორავუ მირჩია. ის ლეგენდარული ექიმია, ბექჰემს, გვარდიოლას, დეშამსა და სხვებს მკურნალობდა. ჩავფრინდით ტურკუში. ორავა უბრალოდ შემეხო ტრავმაზე და მითხრა, რომ მეორე დღეს ოპერაციას გამიკეთებდა, გამოკვლევა არც კი ჩაუტარებია. ოპერაცია 40 წუთი გაგრძელდა და მე მას ვუყურებდი. ხრტილი ორ ადგილას გაწყვეტილი იყო, ოპერაცია იდეალურად ჩაატარა და ამის მერე პრობლემა არ მიგვრძნია. მისი დიდი მადლიერი ვარ.

– კიდევ რა განსაცდელის წინაშე დამდგარხართ "სპარტაკში"?

– ყველაზე მძიმეა, როცა არ თამაშობ. ერთს ითამაშებ და მერე სამ შეხვედრაში ვერ ხვდები შემადგენლობაში. "ამკართან" ვერ ვითამაშე კარგად და ალბათ, ემერი, კარპინი ან იაკინი ეგრეევ სკამზე დამსვავდნენ.

– ყველაზე მეტად ამ სიტუაციაში, რა გახსოვთ ცუდად?

– მოსკოვში "ბენფიკას" წინააღმდეგ ურიგოდ არ მითამაშია. შემცვალეს მეორე ტაიმში, რადგან კანკალი დამეწყო და ამის მერე სამი თამაში არ გამაკარეს. ეს ფსიქოლოგიურად მკლავდა.

– ამბობდნენ, რომ კარპინი ლეგიონერებს სხვანაირად ექცეოდა...

– ახლა ლეგიონერებიც და რუსებიც ერთი მთლიანი გუნდი ვართ. ასე კი არასოდეს არ ყოფილა "სპარტაკში". ეს ჩვენი დამსახურება არ არის, კარერას დამსახურებაა. კოლექტივს მწვრთნელი აყალიბებს. უცხოელს თუ უყვირიხარ, რუსსაც ასევე უნდა უყვირო. ყველაფერი სამართლიანობიდან იწყება.

– 2011 წელს გროზნოში, "სპარტაკის" გასახდელში ჩხუბი რომ იყო, თქვენ რას აკეთებდით?

– ტუალეტიდან გამოვედი და დამხვდა ეს ამბავი. 8 კაცი მონაწილეობდა ამ ჩხუბში, მე არ ჩავერთე. პარეხამ და კომბაროვმა რადაც ვერ გაიყვეს და რუსებმა და ლეგიონერებმა ერთმანეთში იჩხუბეს. იყო მუშტი-კრივი, ბუცების სროლა, მაგრამ ბიჭები მალე გააშველეს.

– იმ თამაშს "სპარტაკი" 0:2-ს აგებდა და მეორე ტაიმში "ტერეკს" 4 გოლი გაუტანა...

– ვიღაცამ თქვა, ერთმანეთში კი არა, მოედანზე უნდა ვიომოთო. გაბოროტებულები გამოვედით მოედანზე და "ტერეკი" დაიჩაგრა. პარეხა და კომბაროვი კი თვითმფრინავში შერიგდნენ.

– თქვენ თუ მოგსვლიათ ლეგიონერებთან კონფლიქტი?

– შეიძლება სიტყვიერი მხოლოდ, მე არ ვარ კონფლიქტური ადამიანი.

– ემერის ეტყობოდა, რომ ამდენს მიაღწევდა?

– მის დროს ცოტას ვთამაშობდი. მის ვარჯიშებზე მუდამ გაიგებდით – ტიკ ტაკ, ტიკ ტაკ – არ გამოგვივიდა. არ იყო საჭირო პასი მხოლოდ პასისთვის. უნდა ერთიანად შეუტიო, როგორც ახლა ხდება.

თითქმის ყველა მწვრთნელი "სპარტაკში" ტიტულის მოგებაზე ლაპარაკობდა. ერთი კარერა არაფერს ამბობს, ის მუშაობს. მას არ აინტერესებს, რა იყო 10 წლის წინ, მთავარია, რა ხდება ახლა ამ წუთას. მართალიცაა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში 9 ქართველი მეცნიერი აირჩიეს

რამდენიმე დღის წინ რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ახალი წევრების – აკადემიკოსებისა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტების გვარები დასახელდა, მათ შორის 9 ქართველია.

რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ახალარჩეული წევრები არიან აკადემიკოსები: დავით იოსელიანი, ალექსი ბაინდურაშვილი, გენადი ხუბულავა, მოგელი (ანზორ) ხუბუტია; წევრ-კორესპონდენტები: რევაზ სეფიაშვილი, ოლგა ბოკერია, სიმონ მაწკეპლიშვილი, შალვა ელიავა, რამაზ გვეტაძე.

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ფრიდონ თოდუა ყველა მათგანს პირადად იცნობს, მათ შესახებ ის „ასავალ-დასავალს" ესაუბრა.

„დავით იოსელიანს კარგად ვიცნობ. 1996 წლიდან ის არის ინტერვენციული კარდიოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ინსიტუტის დირექტორი, ცნობილი მეცნიერი.

ვიცნობ გენადი ხუბულავას – ბრწყინვალე კარდიოქირურგს, პეტერბურგის სახელმწიფო პედიატრიული მედიცინის უნივერსიტეტის გულ-სისხლძარღვთა კათედრის გამგეს.

შესანიშნავი მეცნიერია მოგელი, იგივე ანზორ ხუბუტია, სოხუმში დაბადებული, სსრ კავშირში ტრანსპლანტოლოგიის (ორგანოების გადანერგვის) პიონერია, ტრანსპლანტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, დიდი ორგანიზატორი, სკლიფასოვსკის სახელობის ინსტიტუტის დირექტორი.

ვიცნობ რევაზ სეფიაშვილსაც, ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრიცაა, ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის დამაარსებელი, მოსკოვში ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია.

რუსეთის დიდი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა ბრწყინვალე ნეიროქირურგი შალვა ელიავა – ნიკოლაი ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამი კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი.

მართალია, პირადად არ ვიცნობ სტომატოლოგ რამაზ გვეტაძეს, რომელიც ასევე დიდი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა, მაგრამ ვიცი, რომ უძლიერესი სპეციალისტია.

სამწუხაროდ, არ ვიცნობ ალექსი ბაინდურაშვილს, რომელიც ბავშვთა ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში მუშაობს.

არც გულ-სისხლძარღვთა ქირურგს სიმონ მაწკეპლიშვილს ვიცნობ.

რაც შეეხება ოლგა ბოკერიას, კარდიოქირურგია, ცნობილი ექიმის ლეო ბოკერიას ქალიშვილი. ყველა მათგანს ვულოცავ გამარჯვებას", – განაცხადა თოდუამ.

რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტად საქართველოს ნაკრებისა და "აიას" ყოფილი მორაგბე აირჩიეს

2017 წლის 19 დეკემბერს, რუსეთის რაგბის კავშირის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა, სადაც დიდი პოლემიკისა და დავა-კამათის შემდეგ მოქმედი პრეზიდენტის, ვიაჩესლავ კოპიევის მომხრეებმა დარბაზი დატოვეს.

თუმცა, კვორუმის შეკრება მაინც მოხერხდა და რუსეთის რაგბის კავშირის ახალ პრეზიდენტად ქუთაისის "აიას" ყოფილი მორაგბე მამუკა ლოსაბერიძე აირჩიეს.

ის ლეგენდარული "აიას" ცხრა ნომერია და საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველ მატჩშიც ითამაშა 1989 წელს ზიმბაბვეს ნაკრებთან. ბოლო წლებში მოსკოვში მოღვაწეობდა, იყო სარაგბო კლუბ მოსკოვის "სპარტაკის" პრეზიდენტი.

იუმორი

კახელმა ღორი დაკლა, მეზობლებს დაუძახა და ქეიფიც გახურდა.

– მოდი, ჯანზე ყოფნისა შავსვათ, – თქვა ერთმა და ჭიქები შეავსო.

– მაიცა, კაცო! – გაუბრაზდა მეორე, – ე, ღორი, რა, ჯანზე არ იყო? მოდი, იღბალს გაუმარჯოს!..

* * *

ილუზიონისტი ქუთაისში ჩავიდა. უნდა ადგილობრივები გააოცოს. ქუჩაში კაცი დაინახა, ფეხები გაიქრო და სიგარეტი სთხოვა. ქუთაისელმა ყურადღება არ მიაქცია. ილუზიონისტმა ხელიც გაიქრო და ისევ სთხოვა სიგარეტი. კვლავ – არავითარი რეაქცია. მეორე ხელიც გაიქრო ილუზიონისტმა და ისევ სთხოვა სიგარეტი.

– მე რა მენაღვლება, ძამიკო, კი არ მენანება სიგარეტი. აჰა, მოწიე, მარა, ხომ ხედავ, რას გიშვრება. სულ ხომ არ გინდა რომ გაქრე, შე უპატრონო!

* * *

ოსმა სამი კილო ბანანი მიუტანა ცოლს:

– აჰა, გააკეთე, მაინტერესებს, როგორი იქნება ყვითელი ბადრიჯნის აჯაფსანდალი...

გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ოში მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge